რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი ოთხშაბათი 25 ივნისი № 146 (17789)

ფასი 2 კაპ.

პრესის აქტივისტები

დღეს, 25 ივნისს ქუთაისში გაიმართება საქართველოს მუშა და სოფლის კორესპონდენტთა რესპუბლიკური შეკრება

მუშა და სოფლის კორესპონდენტთა რესპუბლიკური შეკრების მონაწილეებს

ძვირფასო ამხანაგებო!

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ მიესალმება მუშა და სოფლის კორესპონდენტთა რესპუბლიკური შეკრების მონაწილეებს და უსურვებს პრესის აქტივისტთა მთელ მრავალათასიან არმიას დიდ შემოქმედებითს წარმატებებს ნაყოფიერ მუშაობაში სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებების, ხუთწლედის დამამთავრებელი წლისა და მთელი ხუთწლედის გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების უთუო შესრულებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მუდამ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ხალხის ფართო მასების მონაწილეობას საბჭოთა პრესის, მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის სხვა საშუალებების საქმიანობაში.

საბჭოთა საზოგადოების ჩამოყალიბებისა და განვითარების ყველა ეტაპზე მუშსოფლკორთა მოძრაობა იყო საზოგადოებრივი აზრის გაჟღერების ერთ-ერთი მძლავრი საშუალება, ხოლო სოციალისტური სახელმწიფოებრიობისა და დემოკრატიის შემდგომი სრულყოფის პროცესი, რესპუბლიკის მშრომელთა სოციალური აქტიურობის ზრდა სტიმულს აძლევდა მის განვითარებას, რასაც მოჰყვა თვით ცხოვრებიდან აღებული ახალი იდეებისა და დაკვირვებების, ფაქტებისა და შთაბეჭდილებების ფართო ნაკადი, რომლებიც საზოგადოების, სახელმწიფოს ინტერესებისათვის უაღრესად დიდი მზრუნველობით არის გამსჭვალული. მშრომელები თავიანთ წერილებში გაბედულად და საქმიანად აყენებენ რესპუბლიკაში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღების, ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს, სახავენ დიდმნიშვნელოვან სახალხო-სამეურნეო პრობლემებს, შემოაქვთ წინადადებები, რომლებიც მოწმობს ცხოველ დაინტერესებას რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებით.

მუშსოფლკორთა მოძრაობამ უკანასკნელ ხანს ახალი ფეხისება შეიძინა: ამ მოძრაობაში სულ უფრო აქტიურ როლს ასრულებს სახალხო ინტელიგენცია — ლიტერატურისა და ხელოვნების ცნობილი მოღვაწენი, მეცნიერების წარმომადგენლები. ახლა ჩვენს რესპუბლიკაში პრესის, ტელევიზიისა და რადიოს აქტივისტთა რიცხვი 14 ათასს აღემატება.

დღეს, როცა მთელი ჩვენი ქვეყანა წყვეტს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის შემდგომი ამაღლების უმაგალითო მასშტაბისა და სირთულის ამოცანებს, როცა პარტია და ხალხი თავდადებით იბრძვიან სკკპ XXV ყრილობის, პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებათა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებსა და შრომებში ჩამოყალიბებულ მითითებათა და რეკომენდაციათა განხორციელებისათვის, მუშა და სოფლის კორესპონდენტთა ამოცანები კიდევ უფრო პასუხსაგები ხდება. აქტივისტთა საპატიო მოვალეობაა მკაფიოდ და ღრმად გააშუქონ საყოველთაო-სახალხო ბრძოლა, რომლის მიზანია ვადამდე შესრულდეს სახალხო-სამეურნეო გეგმები და სოციალისტური ვალდებულებები, ამაღლდეს პასუხისმგებლობა, ყველგან განმტკიცდეს დისციპლინა, ფართოდ განვითარდეს მშრომელთა ინიციატივა, აღმოიფხვრას ნაკლოვანებანი სახალხო-სამეურნეო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

მუშა და სოფლის კორესპონდენტთა რესპუბლიკური შეკრება მიმდინარეობს დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, რომელიც გამოწვეულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებით. ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც ერთსულოვნად უჭერენ მხარს და მხურვალედ იწონებენ კომუნისტური პარტიის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს და მისი მეთაურის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, სკკპ XXVI ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის, საბჭოთა საქართველოს მე-60 წლისთავის წინ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი პირნათლად შეასრულონ დამამთავრებელი წლისა და მთლიანად მეათე ხუთწლედის რთული და დაძაბული გეგმები, ერთხელ კიდევ დაუმტკიცონ თავიანთი ერთგულება სამშობლოს, პარტიას, საბჭოთა ხალხის სახელოვან რევოლუციურ, საბრძოლო და შრომითს ტრადიციებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ პრესის, ტელევიზიისა და რადიოს აქტივისტები უფრო ენერგიულად, პრინციპულად, შემოქმედებითად მოაბმარენ თავიანთ ცოდნასა და უნარს იმას, რომ ახალი გამარჯვებანი მოიპოვონ კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის ორგანოებში აქტიური თანამშრომლობისათვის, მუშა და სოფლის კორესპონდენტთა რესპუბლიკურ შეკრებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:

აბულაძე ზაქარია ზექერიას ძე — პენსიონერი, ხულოს რაიონი, **კუნქუფარა** გურამ გრიგოლის ძე — ქ. მახარაძის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელმძღვანელობისა საწარმოთა საზოგადოების ავტოსკოლის უფროსის მოადგილე პოლიტიკურ-აღზრდელობითი მუშაობის დარგში, **მაისურაძე** გიორგი ზაქარიას ძე — გურჯაანის რაიონის სოფელ შრომის საშუალო სკოლის პედაგოგი, **მარკოზაშვილი** შალვა იროდიონის ძე — მცხეთის რაიონის სოფელ საგურამოს საშუალო სკოლის პედაგოგი, **ნიშნიანიძე** სულიკო პეტრეს ძე — ქუთაისის შუშის ტარის ქარხნის მუშა, **პაპკორია** მამანტი ილარიონის ძე — ქ. ზუგდიდის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსი, სოციალისტური შრომის გმირი, **როსტიაშვილი** ტრიფონ ვახტანგის ძე — თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის მუშა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, **სალარია** ბაჯური ესტატეს ძე — აფხაზეთის ენისა და ლიტერატურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, **ჩეხოევი** ვასილ სამსონის ძე — ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი, **ჩიტურაშვილი** ვასილ ესტატეს ძე — გორის რაიონის სოფელ ქვეშის სანერგე მეურნეობის მელიორატორი.

სოციალისტური დემოკრატიის დიადი ძალა

სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია

სურათზე: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა.

საკინფორმის ტელეფოტო.

კომუნისტური მშენებლობის ახალ მიჯნას მიაღწია საბჭოთა ხალხმა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ახლახან გამართულმა პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება პარტიის მორიგი XXVI ყრილობის მოწვევის შესახებ. პლენუმზე მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა, რომელმაც გამოთქვა მტკიცე რწმენა, რომ ყრილობისათვის მზადება კვლავ ცხადყოფს პარტიის რიგების შეკავშირებას, პარტიისა და ხალხის ურყევ ერთიანობას კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

ამ სიტყვების მჭევრმეტყველური დადასტურებაა უდიდესი აღფრთოვანება, რომლითაც კომუნისტები, ყველა საბჭოთა ადამიანი შეხვდნენ ცნობას პარტიული ფორუმის მოწვევის შესახებ. მხურვალედ იწონებენ ისინი პლენუმის დადგენილებასაც „საერთაშორისო მდგომარეობისა და საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის შესახებ“. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარული კურსი, ჩვენი სამშობლოს უშიშროების დაცვისა და უზრუნველყოფის ღონისძიებანი გამოხატავს მთელი საბჭოთა ხალხის მისწრაფებასა და ნებას.

ლენინის პარტიის ბრძნულ ხელმძღვანელობასთან განუყრელად არის დაკავშირებული საბჭოთა ხალხის მრავალეროვანი ოჯახის ყველა წარმატება და მონაპოვარი. ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასს, კოლმეურნე გლეხობას, სახალხო ინტელიგენციას მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ენერგია არ დაიშურონ იმისათვის, რომ წარმატებით შეასრულონ მეათე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის გეგმა, უზრუნველყონ სოციალისტური ეკონომიკის სტაბილური მუშაობა 1981 წელს — მეთერთმეტე ხუთწლედის პირველ წელს.

დიადი საბჭოთა სამშობლოსათვის პატრიოტული სიამაყის გრძნობით შეიკრიბნენ ხალხის რჩეულნი კრემლის დიდ სასახლეში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიაზე. სესია 24 ივნისს გაიხსნა კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომით.

მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ დეპუტატები და სტუმრები ამხანაგებს **ლ. ი. ბრეჟნევს, ი. ვ. ანდროპოვს, ვ. ვ. გრიშინს, ა. ა. გრომიკოს, ა. პ. კირილენკოს, ა. ნ. კოსიგინს, დ. ა. კუნაევს, ა. ი. პელშეს, გ. ვ. რომანოვს, მ. ა. სუსლოვს, ნ. ა. ტიხონოვს, დ. თ. უსტინოვს, კ. უ. ჩერნენკოს, ვ. ვ. შჩერბიცკის, გ. ა. ალიევს, მ. ს. გორბაჩოვს, პ. ნ. დემიჩევს, ვ. ვ. კუზნეცოვს, პ. მ. მაშეროვს, ბ. ნ. პონომარიოვს, შ. რ. რაშიდოვს, მ. ს. სოლომენცევს, ე. ა. შევარდნაძეს, ი. ვ. კაპიტონოვს, ვ. ი. დოლგიხს, მ. ვ. ზიმიანინს, კ. ვ. რუსაკოვს.**

დეპუტატებმა ერთხმად დაამტკიცეს სესიის დღის წესრიგი და მისი მუშაობის წესი.

სესიის განსახილველად გამოტანილია საკითხები:

1. პროექტი სსრ კავშირის კანონისა სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო საბჭოების, ავტონომიური ოლქებისა და ავტონომიური ოკრუგების სახალხო დეპუტატთა საბჭოების ძირითად უფლებამოსილებათა შესახებ.

2. პროექტები სსრ კავშირის კანონისა ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ და სსრ კავშირის კანონისა ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ.

3. ყაზახეთის სს რესპუბლიკისა და მოლდავეთის სს რესპუბლიკისაგან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეთა შესახებ.

4. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცება.

სხდომის თავმჯდომარემ — ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარემ **ვ. პ. რუბენმა** წინადადება წამოაყენა შეუდგნენ დღის წესრიგის პირველი პუნქტის განხილვას.

მოხსენება „პროექტი კანონისა სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო საბჭოების, ავტონომიური ოლქებისა და ავტონომიური ოკრუგების სახალხო დეპუტატთა საბჭოების ძირითად უფლებამოსილებათა შესახებ“ გააკეთა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **ვ. ვ. კუზნეცოვმა.**

დღის წესრიგის პირველი საკითხი განიხილეს პალატების ცალ-ცალკე სხდომებზე.

ეროვნებათა საბჭოში

დეპუტატები და სტუმრები ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს **ა. ნ. კოსიგინს, ა. ი. პელშეს, ვ. ვ. კუზნეცოვს, პ. მ. მაშეროვს, ბ. ნ. პონომარიოვს, შ. რ. რაშიდოვს, ე. ა. შევარდნაძეს, მ. ვ. ზიმიანინს, კ. ვ. რუსაკოვს.**

სხდომა მიმდინარეობდა ვ. პ. რუბენის თავმჯდომარეობით.

შეკრებილებმა პატივი სცეს სესიებს შორის გარდაცვლილ დეპუტატთა ხსოვნას.

მოისმინეს სამანდატო კომისიის მოხსენება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ახლად არჩეულ დეპუტატთა უფლებამოსილების შემოწმების შესახებ. მოხსენება გააკეთა კომისიის თავმჯდომარემ **ა. გ. კორკინმა,** მოხსენების გამო მიღებულია შესაბამისი დადგენილება.

განიხილეს საკითხი ეროვნებათა საბჭოს მუდმივი კომისიების შემადგენლობაში ზოგიერთი ცვლილების შესახებ.

(დასასრული მე-2 გვ.).

სამშობლოს ჯილდოების გადაცემა

24 ივნისს კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა სამშობლოს ჯილდოები გადასცა პასუხისმგებელ პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეებს. ჯილდოების გადაცემისას ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა სიტყვა წარმოთქვა.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა

დღეს სამშობლოს ჯილდოები უნდა გადაეცეს ცნობილ და ღვაწლმოსილ ამხანაგთა ჯგუფს. ისინი დაჯილდოვდნენ სხვადასხვა მიზეზით, სხვადასხვა ამბებთან დაკავშირებით, მაგრამ საზოგადოდ კი მათი მუშაობა შეიძლება დავახასიათოთ ერთნაირი სიტყვებით — ეს არის პარტიის საქმის, ხალხის საქმის ერთგული სამსახური.

მოხარული ვარ ქებით მოვიხსენიო დაჯილდოებულნი, რომლებსაც მრავალი წელია ვიცნობ.

ჩვენი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროელი ამხანაგი დინმუხამედ აჰმედის ძე კუნაევი მრავალმხრივი და ნიჭიერი კაცია. მას სამართლიანად შეიძლება ვუწოდოთ თვალსაჩინო წარმომადგენელი ყაზახეთის ინტელიგენციისა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების წლებში გაიზარდა. გამჭრიახი ინჟინერი, თვალსაჩინო მეცნიერი, ავტორიტეტიანი პარტიული ხელმძღვანელი — ასეთია მისი ბიოგრაფიის ძირითადი ნიშანსვეტები. ყაზახეთის მიწის უხვი მოსავლის მოწევაზე, მე კი საკუთარი გამოცდილებით ვიცი, თუ რა ჯაფა ადგებათ მხვნელ-მთესველებს მისი ბარაქის მოსაპოვებლად, დიდი ამაგი აქვს გაწეული ამხანაგ კუნაევს, რომლის ნებისყოფა, ენერგია, ორგანიზატორული ნიჭი ყველას კარგად მოგეხსენებათ. შარშან ყაზახეთმა სახელმწიფოს მიჰყიდა მილიარდ ორას ორმოცდაათი მილიონი ფუთი პური. შესანიშნავი მიღწევაა!

დღეს პატივს მივაგებთ აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ტიხონოვს. მას ჯერ კიდევ დნეპროპეტროვსკის ოლქში მუშაობის დროიდან ვიცნობ. მან კარგა ხანია გამოიჩინა თავი როგორც მრეწველობის თვალსაჩინო ორგანიზატორმა. მაგრამ მარტო ამის თქმა საკმარისი როდი იქნება. ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ტიხონოვს ახასიათებს მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა, უნარი უამრავი საქმიდან გამოიჯოს მთავარი, გამბედაობა გადაწყვეტილების მიღებაში. მინდა ვუსურვო მას მრავალ წელს შეენარჩუნებინოს ეს თვისებები.

ბორის ნიკოლოზის ძე პონომარიოვს კარგად იცნობენ ჩვენს პარტიაშიც და საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაშიც. უკვე მრავალი ათწლეულია იგი, შეიძლება ითქვას, სხვა ქვეყნების კომუნისტურ და მუშათა პარტიებთან ჩვენი პარტიის ურთიერთობის შუაგულში ტრიალებს. მთელი პროგრესული რევოლუციური ძალების სოლიდარობისა და შეკავშირების განმტკიცებისათვის საბჭოთა კომუნისტების ბრძოლაში მას თვალსაჩინო წვლილი შეაქვს. ბორის ნიკოლოზის ძე პონომარიოვი კარგად უხამებს ერთმანეთს პარტიული ხელმძღვანელისა და თვალსაჩინო მეცნიერის ნიჭს — მის კალამს ბევრი საინტერესო მარქსისტულ-ლენინური ნაკვლევი ეკუთვნის.

(დასასრული მე-3 გვ.).

ახალი შრომითი წარმატებებით შევხვდეთ სკკპ XXVI ყრილობას!

საქართველოს მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად მხურვალედ იწონებენ და მხარს უჭერენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებს და ამ პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში ჩამოყალიბებულ დებულებებსა და დასკვნებს

ფოლადი — სამშობლოს

ინდუსტრიული რუსთავის საწარმოებსა და მშენებლობებზე ეწყობა მიტინგები, საუბრები, გაზეთების კოლექტიური კითხვა: ქალაქის მშრომელები მხურვალედ იწონებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას სკკპ მორიგი XXVI ყრილობის მოწვევის შესახებ, სავსებით უჭერენ მხარს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს, ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის საქმიანობას.

მარტენის საამქროში გამართულ მიტინგზე ინფორმაცია გააკეთა მეტალურგიული ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა კ. ბაქრაძემ. მან თქვა, რომ ჩვენი პარტიის ყრილობები საბჭოთა საზოგადოების განვითარების, კომუნისტური აღმშენებლობის დიდმნიშვნელოვანი ეტაპების მომასწავებელია. სკკპ XXVI ყრილობა პარტიისა და ხალხის რევოლუციურ-გარდამქმნელი საქმეების ახალ ჰორიზონტებს დასახავს.

ტრიბუნაზეა მეფოლადე ი. გურგენიძე.

— მეათე ხუთწლედის წლები ჩვენი კოლექტივისათვის მეტად დაძაბული იყო, — ამბობს იგი, — ჩვენ ყოველ ღონეს ვხმარობთ, რათა წარმატებით შევასრულოთ პარტიის დასახული ამოცანები. დღეს ჩემი ბრიგადა ყრილობისწინა ვახტზე დგება და ვალდებულებას კისრულობს ყოველდღიურად დამატებით გამოადნოს ლითონი, ჩქარა-ოსულად უზრუნველყოს ყოველი მეორე ღნობა.

მის აზრს მხარი დაუჭირეს მიტინგზე გამოსულებმა — საამქროს უფროსის მოადგილემ ნ. კილაძემ, ბრიგადირმა ვ. გიგიბერიამ, უფროსმა მეფოლადემ ა. გურსკიმ და სხვებმა.

მიღებულ რეზოლუციაში მეფოლადეებმა ვალდებულება იკისრეს ვადაზე ათი დღით ადრე შეასრულონ ფოლადის წარმოების ხუთწლედის დავალება.

(საქინფორმი).

✦✦

სურათებზე: სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებისადმი მიძღვნილი მიტინგი თბილისის „ელმავალმშენებლის“ საწარმოო გაერთიანებაში; ტრიბუნაზეა ელექტრომექანიკური ბრიგადირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გურამ მეტონიძე.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).



მეტი დამაჯერებლობით

„ჩვენ დავისახეთ ისეთი კაპიტალური ამოცანა, როგორიც წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებაა. და ეს ამოცანა ნიადაგ უნდა გვქონდეს ყურადღების ცენტრში. კვლავაც უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ კიდევ უფრო დავაჩქაროთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, განვამტკიცოთ შრომისა და სახელმწიფო დისციპლინა, უზრუნველვყოთ შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდა“.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის 23 ივნისის პლენუმზე ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების ამ სიტყვების აზრი ჩვენთვის გასაგები და ნათელია. „საქსამთოქმმრეწვის“ გაერთიანების კოლექტივმა, რომლის წევრიც მე გახლავართ, წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის ბევრი რამ გააკეთა. და ახლა, როცა შევიტყვეთ, რომ 1981 წლის 23 თებერვალს მოწვეულია სკკპ მორიგი XXVI ყრილობა, სიამაყით ვუპატრონებთ პარტიასა და სამშობლოს: სამთოქმიელებმა ჯერ კიდევ მიმდინარე წლის 12 ივნისს შეასრულეთ პროდუქციის გამოშვების ხუთწლიანი გეგმა. გეგმის გადამეტებით ქვეყანა 12 მილიონი მანეთის ბარიტს, გუმბრინს, ანდეზიტს და სხვა სახეობის ნაწარმს მიიღებს.

ხუთწლედის დამდეგიდან ეკონომიკური და სოციალური გეგმების განხორციელებამ განაპირობა, რომ გაერთიანების საწარმოები ერთ-ერთი ყველაზე მექანიზებული და ავტომატიზებულია ქვეყნის ქიმიურ მრეწველობაში. ასეთ წარმატებას ჩვენ საბჭოთა კავშირის ათობით სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოლექტივებთან თანამეგობრობით მივაღწიეთ.

მკვეთრად ეაუმჯობესდა შრომისა და ცხოვრების პირობებიც. მიმდინარე ხუთწლედში გაერთიანების სოციალური განვითარებისათვის 10 მილიონი მანეთი გამოიყო. ეს სახსრები საცხოვრებელი სახლების აშენებასა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას მოხმარდა.

გვირაბგამყვანთა ბრიგადამ, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისათვის შეასრულა ხუთწლიანი დავალება და დღითიდღე უმატა შრომის ტემპს. სკკპ XXVI ყრილობა დასახავს საბჭოთა კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ახალ გრანდიოზულ პროგრამას. სამთოქმიელები ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ მტკიცე ტექნიკურ-მატერიალური ბაზა შეუქმნან მეთერთმეტე ხუთწლედის მიჯნების წარმატებით გადალახვას. ჩვენი მაჩვენებლები მომავალში უფრო დამაჯერებელი იქნება, ამაში ხელს შეგვიწყობს კარგად ორგანიზებული საყრილობო სოციალისტური შეჯიბრება.

ე. სვანი,

„საქსამთოქმმრეწვის“ კომუნისტური შრომის გვირაბგამყვანთა ბრიგადის ხელმძღვანელი.

მუდამ ხალხთან ერთად

დიდი მღელვარებით შევხვდით სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილებას პარტიის მორიგი XXVI ყრილობის მოწვევის შესახებ.

XXV ყრილობიდან განვლილი პერიოდი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის, კულტურისა და მეცნიერების აღმავლობის წლებია. იგი მოსოვებული ლენინური კომუნისტური პარტიის წინამძღოლობით, საბჭოთა ხალხის შრომითი გმირობის შედეგად. პარტია მომავალ ყრილობაზე შეაჯამებს მიღწეულს და მოგვიანებულს, დასახავს ჩვენი ქვეყნის წინსვლის ახალ ნათელ პერსპექტივებს.

საქართველოს მეცნიერები კვლავაც ჯეროვან წვლილს შეიტანთ სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომ წარმატებებში, კვლავაც მხარში ამოუდგებით ჩვენს ხალხს, კომუნიზმის მშენებელ ხალხს, რათა ახალ-ახალი წარმატებებით გავამდიდროთ სამამულო მეცნიერება.

ალ. ფრანგიშვილი,

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

სოციალისტური დემოკრატიის დიადი ძალა

(დასასრული)

კანონის პროექტის გამო გამართული კამათის მონაწილე დეპუტატებმა ხაზგასმით აღნიშნეს, თუ რა ისტორიული მნიშვნელობა აქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ახლახან გამართული პლენუმის გადაწყვეტილებებს, ამ პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებას. პარტიის მომავალი ყრილობა განსაზღვრავს კომუნისტური მშენებლობის ახალ ეტაპზე ბრძოლის სტრატეგიასა და ტაქტიკას.

ლენინური პარტიის XXIV და XXV ყრილობებზე შემუშავებული კურსი უზრუნველყოფს ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში მასშტაბური ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას. სკკპ XXVI ყრილობისათვის მზადება, როგორც ერთსულოვნად აღნიშნეს დეპუტატებმა, კიდევ ერთხელ დამაჯერებლად დაადასტურებს პარტიის რიგების შეკავშირებას, პარტიისა და ხალხის მონოლითურ ერთიანობას, მძლავრ სტიმულს მისცემს დამამთავრებელი წლის, მთლიანად ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების განვითარებას.

საბჭოთა ხალხის სახელით სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში მისმა წარმომადგენლებმა მაღალი შეფასება მისცეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ბეჯდი, მიზანდასახულ მუშაობას კომუნისტური მშენებლობის ხელმძღვანელობისათვის, დაუცხრომელ ზრუნვას მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ დეპუტატმა **ნ. ი. რიჟკოვმა** აღნიშნა, რომ გაიზარდა საბჭოების როლი სამეურნეო მექანიზმის სრულყოფასა და დაგეგმვის გაუმჯობესებაში.

შეეხო რა ამოცანებს, რომლებსაც ახლა წყვეტს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლების გეგმების შემუშავებასთან დაკავშირებით, დეპუტატმა ხაზი გაუსვა, რომ საჭიროა კიდევ უფრო განმტკიცდეს საბჭოების კავშირურთიერთობა სახელმწიფო საგეგმო ორგანოებთან, სამინისტროებთან და უწყებებთან.

კანონის პროექტი, თქვა დნეპროპეტროვსკის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარემ დეპუტატმა **ვ. გ. ბოიკომ,** ნათლად ადასტურებს პარტიის განუხრელ ზრუნვას ადგილობრივი საბჭოების საქმიანობის სრულყოფისათვის. ჩვენს ოლქში სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობის გააქტიურება და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეზე მათი გავლენის ზრდა — მეათე ხუთწლედის სახალხო-სამეურნეო გეგმების წარმატებით შესრულების მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა.

ამასთანავე დეპუტატმა აღნიშნა, რომ დნეპროპეტროვსკის ოლქში ჯერ კიდევ ყველაფერი როდი კეთდება ისე, როგორც სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებით არის დასახული. ცალკეული სანარმოები, ორგანიზაციები, კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფენ წარმოების ეფექტიანობის ამაღლების რეზერვების უფრო სრული გამოყენების ამოცანების შესრულებას.

სესიის განსახილველად შემოტანილი კანონი სამხარეო, საოლქო და საოკრუგო საბჭოების ძირითად უფლებამოსილებათა შესახებ დიდი პოლიტიკური და სახელმწიფო მნიშვნელობისა, ხაზი გაუსვა სკკპ ადიღეს საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ნ. ა. ბერზეგოვმა,** კანონის მიღება მნიშვნელოვან წვლილს შემატებს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძვლების განმტკიცებას, საბჭოთა დემოკრატიის შემდგომ განვითარებას, რასაც მიზნად ისახავს პარტიის კურსი.

სსრ კავშირის ახალი კანონის მიღება საჭირო სამართლებრივ საფუძველს შეუქმნის ქვეყნის პოლიტიკურ და სამეურნეო ცხოვრებაში ადგილობრივი საბჭოების როლის შემდგომ ამაღლებას, აღნიშნა ბელორუსის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ დეპუტატმა **ვ. თ. მიცკევიჩმა.** მან რესპუბლიკის ცხოვრებიდან აღებული მაგალითებით ცხადყო სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მზარდი გავლენა, მათი მამობილიზებელი მნიშვნელობა სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის ბრძოლაში.

ორატორმა ხაზი გაუსვა, რომ პროექტი მთლიანად არის დაფუძნებული სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის, მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციების დებულებებზე და თქვა, რომ კანონის მიღება ხელს შეუწყობს სახელმწიფო ხელისუფლების ერთიანი საწყისების ორგანულ შეხამებას ადგილობრივი საბჭოების უფლებებისა და უფლებამოსილების გაფართოებასთან.

თურქმენეთის სსრ აშხაბადის რაიონის კოლმეურნეობა „სოციალიზმის“ თავმჯდომარე დეპუტატი **ჯ. ორაზოვი** შეეხო რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელთა წარმატებებს ხუთწლიანი გეგმის დავალებათა შესრულებაში.

მინდა აღვნიშნო, თქვა მან, რომ ჩვენი პროდუქცია ქვეყნის ცენტრალურ რაიონებში იგზავნება, მაგრამ გადაზიდვის ხანგრძლივობის გამო მისი ნაწილი ხშირად ფუჭდება და ხარისხოვანი სახით ვერ აღწევს მომხმარებლამდე. საჭიროა გაუმჯობესდეს სატრანსპორტო მიმოსვლა ჩვენს რეგიონში.

რეგიონების კომპლექსურ ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში საბჭოების როლზე ილაპარაკა ტაჯიკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ დეპუტატმა **მ. ხოლოვმა.**

კანონის მიღება, თქვა მან, საბჭოებს შესაძლებლობას მისცემს გააძლიერონ კონტროლი გეგმების შესრულებისადმი, კანონმდებლობის განუხრელი დაცვისადმი. საბჭოთა ორგანიზაციების დიდმნიშვნელოვან მოვალეობებს შორის არის ზრუნვა საბინაო-კომუნალური მეურნეობის განვითარების, კეთილმოწყობის, ადამიანთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის.

ამავე დროს ორატორმა აღნიშნა, რომ ადგილობრივი საბჭოებისადმი უფრო ქმედითი დახმარება მართებთ მგეგმავ ორგანოებს, სამინისტროებსა და უწყებებს.

სესიის განსახილველად წარმოდგენილი სსრ კავშირის კანონის პროექტი, ხაზი გაუსვა სტავროპოლის სამხარეო აღმასკომის თავმჯდომარემ დეპუტატმა **ი. ტ. ტარანოვმა,** საბჭოების როლის ამაღლებისათვის პარტიის ზრუნვის კიდევ ერთი გამოვლინება გახდა.

წარმოების ყველა დარგის აღმავლობაში, თქვა მან, მნიშვნელოვანი როლი ეკისრებათ საბჭოებს. მაგრამ ჯერ კიდევ არის მთელი რიგი გადასაჭრელი პრობლემები, რომლებიც გავლენას ახდენს წარმოების სფეროზე. მათ შორის არის საცხოვრებელი ბინების, საბავშვო დაწესებულებების მშენებლობა, კომუნალური მომსახურების ორგანიზაცია. ამ საკითხთა გადაწყვეტაში განსაკუთრებით ბევრის გაკეთება შეუძლიათ საბჭოებს.

კავშირის საბჭოში

საღამოს გაიმართა კავშირის საბჭოს სხდომა.

დეპუტატები და სტუმრები ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს **ი. ვ. ანდროპოვს, ვ. ვ. გრიშინს, ა. ა. გრომიკოს, ა. პ. კირილენკოს, დ. ა. კუნაევს, გ. ვ. რომანოვს, მ. ა. სუსლოვს, ნ. ა. ტიხონოვს, დ. თ. უსტინოვს, ვ. ვ. შჩერბიცკის, გ. ა. ალიევს, მ. ს. გორბაჩოვს, პ. ნ. დემიჩევს, ვ. ვ. კუზნეცოვს, მ. ს. სოლომენცევს, ი. ვ. კაპიტონოვს, ვ. ი. დოლგიხს.**

სხდომას თავმჯდომარეობდა კავშირის საბჭოს თავმჯდომარე **ა. პ. შიტიკოვი.**

შეკრებილებმა წუთიერი დუმილით პატივი სცეს სესიებს შორის პერიოდში გარდაცვლილი დეპუტატების ხსოვნას.

სამანდატო კომისიის მოხსენება ახლად არჩეული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის უფლებამოსილებათა შემოწმების შესახებ გააკეთა კომისიის თავმჯდომარემ **კ. ს. დემირჭიანმა.**

მოხსენების გამო მიღებულია შესაბამისი დადგენილება.

სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში საბჭოთა ხალხის სრულუფლებიანმა წარმომადგენლებმა სიამაყით თქვეს, რომ სკკპ XXVI ყრილობა, რომლის მოწვევის გადაწყვეტილებაც მიიღო პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, ახალ პორონტებს დაუსახავს ჩვენი ქვეყნის განვითარებას. მათ მთლიანად დაუჭირეს მხარი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას და აღუთქვეს, რომ ქვეყნის მშრომელები მთელ ძალ-ღონეს მოახმარენ კომუნისტური მშენებლობის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას.

ორატორებმა ხაზი გაუსვეს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო, პირადად ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი ნიადაგ ზრუნავენ სოციალისტური სამშობლოს ეკონომიკური პოტენციალის ზრდისათვის, ხალხის კეთილდღეობისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცებისათვის.

დეპუტატთა გამოსვლები შეიცავდა კონკრეტულ წინადადებებს, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს სოციალისტური სახალხო ხელისუფლების შემდგომ სრულყოფას, სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მდიდარი გამოცდილების გამოყენებას, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას, ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებას.

კანონის პროექტი, თქვა რუსეთის სფს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ დეპუტატმა **ლ. ბ. ერმინმა,** ასახავს პარტიის გეზს ცხოვრების ყველა სფეროში საბჭოების როლის ამაღლებისათვის, ხდის საბჭოებს უფრო სრულუფლებიან ადგილობრივ მმართველობითს ორგანოებად.

ორატორმა აღნიშნა მმართველობის სხვა ორგანოებთან საბჭოების წარმატებული თანამოქმედების სასარგებლო გამოცდილება, რომელიც მოსკოვში, კრასნოიარსკის მხარეში, ლენინგრადის, სვერდლოვსკის ოლქებშია შეძენილი.

უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ დეპუტატმა **ი. ბ. უსმანხოჯაევმა** მადლიერებით აღნიშნა ის დიდი დახმარება, რომელსაც სახალხო დეპუტატთა საბჭოებს უწევენ რესპუბლიკის პარტიული კომიტეტები. ისინი წარმართავენ მათს საქმიანობას, განამტკიცებენ გამოცდილი კადრებით.

ადგილობრივი საბჭოების ყურადღების ცენტრშია რესპუბლიკის განვითარების საკვანძო პრობლემები, რომლებსაც განაპირობებს უზბეკეთის ადგილი სრულიად საკავშირო შრომის დანაწილებაში, მისი როგორც ქვეყნის ძირითადი ბამბეულის ბაზის, როლი.

დეპუტატმა აღნიშნა, რომ თანამედროვე პირობებში დიდ მნიშვნელობას იძენს საბჭოების ფასდაუდებელი გამოცდილების შესწავლა, განზოგადება და გავრცელება.

პარტიის ოდესის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა დეპუტატმა **ნ. კ. კირიჩენკომ** ილაპარაკა ოლქის სახალხო მეურნეობის განვითარების დიდ, რთულ და პასუხსაგებ ამოცანებზე და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მათს გადაწყვეტაში ვლინდება სახალხო დეპუტატების, ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების მზარდი როლი.

საოლქო პარტიული ორგანიზაცია ნიადაგ ზრუნავს, იმისათვის, რომ საბჭოების საქმიანობა მეტი ინტენსივობით, შემოქმედება და აქტიურობა იგრძნობოდეს, ვითარდებოდეს ინიციატივა და თვითმოქმედება.

ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა **ბ. ა. ამანჟოლმა** გააანალიზა რესპუბლიკის სანარმოო ძალების განვითარების ტემპი ხუთწლედის განმავლობაში და აღნიშნა, რომ ამ პროცესის დინამიზმს დიდად განსაზღვრავს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აქტიურობა.

დეპუტატმა მხარი დაუჭირა წინადადებას სსრ კავშირის კანონის მიღების შესახებ და თქვა, რომ პროექტი შეესაბამება საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების ახლანდელი ეტაპის მოთხოვნებს.

ახალი კანონის პროექტში მკაფიოდ და ნათლად არის მოცემული სახალხო დეპუტატთა სამხარეო და საოლქო საბჭოების ძირითადი უფლებამოსილებანი, თქვა ლენინგრადის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარემ დეპუტატმა **ა. ნ. შიბაევმა,** დეპუტატის აზრით, სხვა მუხლებთან ერთად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს მეექვსე მუხლს, სადაც ლაპარაკია საბჭოს ტერიტორიაზე კომპლექსური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების უზრუნველყოფის შესახებ. საოლქო პარტიული ორგანიზაციის ინიციატივით ლენინგრადისა და ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოები უკვე დიდი ხანია უაღრესად აქტიურად მონაწილეობენ თავიანთი ადმინისტრაციული რაიონების კომპლექსური გეგმების შემუშავებასა და რეალიზაციაში.

ახლა, მას შემდეგ, რაც კანონით დამკვიდრდა ზემდგომი დაქვემდებარების საწარმო-დაწესებულებათა საქმიანობის კოორდინაციაში საოლქო საბჭოების უფლებამოსილებანი, იქმნება სამართლებრივი საფუძველი ამ მუშაობისათვის.

ორენბურგის ოლქის სოროჩინსკის რაიონის კოლმეურნეობა „ავანგარდის“ თავმჯდომარემ დეპუტატმა **ლ. კ. აგაპოვამ** ილაპარაკა რაიონისა და კოლმეურნეობის მშრომელთა წარმატებებზე, იმაზე, თუ როგორ ზრუნავენ ისინი ხუთწლედის დამამთავრებელი წლის უხვი მოსავლისათვის. წარმატებით სრულდება მეცხოველეობის განვითარების გეგმები.

სამხარეო და საოლქო საბჭოების უფლებების გაფართოება საქმიანობის პრაქტიკულად ყველა სფეროში, რაც ახალი კანონის პროექტით არის გათვალისწინებული, ხაზი გაუსვა დეპუტატმა, დაგვეხმარება გავაუმჯობესოთ ყოველდღიური ორგანიზატორული მუშაობა, კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო წარმოებისადმი ხელმძღვანელობა.

ყირგიზეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ დეპუტატმა **ა. დუიშეევმა** ხაზი გაუსვა, რომ საბჭოების წინაშე მატერიალური წარმოების ყოველმხრივი განვითარების საქმეში უფრო აქტიური მონაწილეობის ამოცანები დგება.

ახალი კანონი ითვალისწინებს საბჭოებისა და სანარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების უფრო მჭიდროდ თანამოქმედებას. ადგილობრივი საბჭოების წინაშე წამოჭრილი ბევრი ტერიტორიული საკითხის გადაწყვეტა გაადვილდება მსხვილ სანარმოთა კოლექტივების ფართო მონაწილეობით.

დეპუტატი დარწმუნებულია, რომ ახალი კანონი მეტ რეალურ შინაარსს მიანიჭებს საბჭოთა დემოკრატიას, რომლის მეშვეობითაც ახორციელებს ხალხი თავის სახელმწიფო ხელისუფლებას.

ამით დამთავრდა კავშირის საბჭოს სხდომა.

25 ივნისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესია მუშაობას განაგრძობს. (საკდესი).

სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო საბჭოების, ავტონომიური ოლქებისა და ავტონომიური ოკრუგების სახალხო დეპუტატთა საბჭოების ძირითად უფლებამოსილებათა შესახებ სსრ კავშირის კანონის პროექტის თაობაზე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ვ. ვ. კუზნეცოვის მოხსენება

საბჭოთა ხალხის, მთელი მსოფლიოს საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია გუშინ გამართული სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შედეგები.

კომუნისტებმა, ყველა საბჭოთა ადამიანმა უდიდესი აღფრთოვანებით აღიქვეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ღრმა შინაარსიანი მოხსენება და ამ მოხსენების გამო მიღებული პლენუმის დადგენილება სკკპ მორიგი XXVI ყრილობის მოწვევის შესახებ.

ყრილობის გადაწყვეტილებებში, თქვა ვ. ვ. კუზნეცოვმა, უმეტესი სისრულით ვლინდება ჩვენი პარტიის კოლექტიური გონება, მისი მძლავრი აღმშენებლობითი ნება. ეჭვი არ არის, რომ ასეთი იქნება მომავალი პარტიული ყრილობაც, რომელიც განსაზღვრავს კომუნისტური მშენებლობის ახალ ეტაპზე ბრძოლის სტრატეგიასა და ტაქტიკას.

როგორც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, პრაქტიკით არის შემოწმებული ჩვენი პარტიის XXIV და XXV ყრილობების მიერ განსაზღვრული ლენინური კურსის სისწორე. ამ კურსს მოჰყავა დადებითი შედეგები როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის დარგში. იგი უზრუნველყოფს ცხოვრების მიერ წამოყენებული სულ უფრო რთული და მასშტაბური ამოცანების სწორ გადაწყვეტას.

სკკპ XXVI ყრილობისათვის მზადება, უეჭველია, კვლავ და კვლავ ცხადყოფს პარტიული რიგების შეკავშირებას, ჩვენი პარტიისა და ხალხის ურყევ ერთიანობას. იგი გახდება კომუნისტთა და უპარტიოთა პოლიტიკური და შრომითი აქტიურობის აღმავლობის მძლავრი ბერკეტი, შთამაგონებელი სტიმული, რათა კიდევ უფრო ფართოდ გაიშალოს სოციალისტური შეჯიბრება მეათე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის, კომუნისტთა მომავალი უმაღლესი ფორუმის ღირსეული შეხვედრისათვის.

სკკპ XXVI ყრილობისათვის მზადების დროს საბჭოთა ადამიანები შეაჯამებენ პარტიის XXV ყრილობის შემდეგ გაწეული მუშაობის შედეგებს. ჩვენ ბევრი რამ გვაქვს საამაყო. მუშათა, კოლმეურნეთა, ინტელიგენციის თავდადებული, ინიციატივიანი შრომის შედეგად, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გადაიდგა დიდი ნაბიჯი წინ სოციალისტური ეკონომიკის შემდგომი განვითარების, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების, ქვეყნის თავდაცვითი ძლიერების განმტკიცების გზაზე.

გუშინ გამართულმა ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს მოხსენების გამო მიიღო დადგენილება „საერთაშორისო მდგომარეობისა და საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის შესახებ“. ამ დადგენილებაში მარქსისტულ-ლენინურად არის განანალიზებული საგარეო-პოლიტიკური ვითარება, დასახულია კონსტრუქციული კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა მიზანია მშვიდობის განმტკიცება. ახლანდელ სიტუაციაში, როცა ამერიკის შეერთებული შტატებისა და მისი დამქაშების ავანტიურისტულმა მოქმედებამ გააძლიერა ომის საშიშროება, უდიდესი მნიშვნელობა აქვს პლენუმის მიერ დადასტურებულ სკკპ XXIV და XXV ყრილობების კურსს — სოციალისტურ სახელმწიფოებთან ძმური კავშირის ყოველმხრივი განმტკიცების, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის სამართლიანი ბრძოლის მხარდაჭერის, მშვიდობიანი თანაარსებობის, გამაკეცებული შეიარაღების ალაგმვის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების შენარჩუნებისა და განვითარების, ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის კურსს.

აი უკვე 35 წელია საბჭოთა ადამიანები ცხოვრობენ მშვიდობის პირობებში. დღეს ზუსტად 35 წელი გავიდა გამარჯვების პარადის დროიდან, როცა ნაციზტურ სვასტიკიანი შავი დრაშები ლენინის მავზოლეუმის წინ დაყარეს მიწაზე საბჭოთა ჯარისკაცებმა, კაცობრიობა რომ იხსნეს ფაშიზმისაგან ხალხთა თავისუფლებისათვის, ქვეყნად მშვიდობისათვის.

ეს მშვიდობა უდიდესი მიღწევაა. უწინარეს ყოვლისა იგი არის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის— ერთგული ლენინელის, თანამედროვეობის გამოჩენილი პარტიელი და სახელმწიფო მოღვაწის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მტკიცე მიზანმიმართული მუშაობის შედეგი.

ზუსტად 35 წლის წინათ ლეონიდ ილიას ძემ გამარჯვებულებთან ერთად ჩაიარა წითელ მოედანზე მშვიდობისა და პროგრესის ლენინური დროშით. ეს დროშა მას დღესაც ღირსეულად და მაღლა უჭირავს.

ამხანაგ ბრეჟნევის დაძაბული შრომას კომუნისტური მშენებლობისადმი, საგარეო-პოლიტიკური საქმიანობისადმი ხელმძღვანელობისათვის, მისი მშვიდობის დაცვისა და განმტკიცებისათვის დაუცხრომელ ზრუნვას დიდად აფასებენ საბჭოთა ადამიანები, მთელი პროგრესული კაცობრიობა. ისინი გამოთქვამენ დიდ პატივისცემასა და მადლიერებას ყველა ჩვენგანისათვის ძვირფასი ლეონიდ ილიას ძისადმი.

პარტიის XXV ყრილობის შემდეგ განვლილ წლებში უდიდესი მუშაობა განხორციელდა სახელმწიფოო მშენებლობის, სოციალისტური დემოკრატიის განვითარების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს სამართვაში მშრომელთა ფართოდ ჩაბმის დარგში.

მართლაც რომ, ისტორიული მოვლენა იყო სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის — მსოფლიოში პირველი საერთო-სახალხო სახელმწიფოს ძირითადი კანონის საყოველთაო-სახალხო განხილვა და მიღება.

ჩვენი სახელმწიფოს ნამდვილ სახალხო ხასიათს ყველაზე სრულად განასახიერებს სახალხო დეპუტატთა საბჭოები, რომლებიც სსრ კავშირის პოლიტიკურ საფუძველს შეადგენს.

საბჭოები განასახიერებს საბჭოთა ხალხის ერთიანობას, კომუნისტური პარტიის გარშემო მის შეკავშირებას.

ჩვენი პარტია განუხრელად ახორციელებს სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის ამაღლებეს ხაზს. საბჭოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობა მათი ძალის წყარო, ეფექტიანი საქმიანობის უმნიშვნელოვანესი გარანტიაა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მნიშვნელობა, რომელიც საბჭოების, ყველა სახელმწიფოო ორგანოს საქმიანობის გაუმჯობესებისათვის აქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის არჩევას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ. მის მრავალმხრივ მოღვაწეობას, შრომასა და გამოსვლებს ფასდაუდებელი წვლილი შეაქვს საბჭოთა მშენებლობის თეორიასა და პრაქტიკაში, ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების ყველა არჩევითი ორგანოს როლისა და ავტორიტეტის ამაღლების საქმეში.

სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო საბჭოების, ავტონომიური ოლქებისა და ავტონომიური ოკრუგების სახალხო დეპუტატთა საბჭოების ძირითად უფლებამოსილებათა შესახებ კანონის პროექტი იმ ღონისძიებათა არსებითი ნაწილია, რომლებსაც ითვალისწინებს სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი სოციალისტური სახელმწიფოებრიობის განვითარების თაობაზე.

სამხარეო, საოლქო და საოკრუგო საბჭოებს მნიშვნელოვანი როლი განეკუთვნება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების სისტემაში.

როცა საბჭოების აქტიურობის შემდგომი განხრული ამაღლების საკითხებს შეეხო, ლ. ი. ბრეჟნევმა მიმდინარე წლის თებერვალში ბაუმანის ოლქის ამომრჩევლებთან შეხვედრაზე აღნიშნა, რომ საქმე, უწინარეს ყოვლისა, ეხება სამხარეო და საოლქო საბჭოებს. ლ. ი. ბრეჟნევის მითითებანი სრულად აისახა წარმოდგენილ კანონის პროექტში.

პროექტში ზუსტად არის განსაზღვრული ძირითადი მიმართულებანი, რომელთა მიხედვით კვლავაც უნდა დაიხვეწოს საბჭოების საქმიანობა.

ამ მიმართულებებიდან მთავარია ის, რომ გაძლიერდეს საბჭოების როლი ეკონომიკის განვითარებაში. სამეურნეო მშენებლობაში, როგორც ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა, დგას ამოცანები, რომლებსაც საბჭოებზე უკეთ ვერავინ ვერ გადაწყვეტს. საქმე, უწინარეს ყოვლისა, ეხება ეკონომიკური და სოციალური განვითარების მჭიდრო კავშირის, სახალხო მეურნეობის მართვის დარგობრივი და ტერიტორიული პრინციპების სწორი შეხამების უზრუნველყოფას, გარკვეულ ტერიტორიაზე განლაგებული სხვადასხვა უწყებრივი დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საქმიანი თანამშრომლობის მოგვარებას. ყოველივე ეს შეადგენს ეკონომიკური და სოციალური განვითარების კომპლექსურობის მთავარ შინაარსს, რომლის უზრუნველყოფისათვის პასუხისმგებლობას კონსტიტუცია აკისრებს სახალხო დეპუტატთა საბჭოებს.

პრაქტიკა მოწმობს, რომ საბჭოები, რომლებიც აქტიურად იყენებენ ამ თავიანთ კონსტიტუციურ უფლებამოსილებას, იღებენ, რათა კარგი შედეგები მოიპოვონ ეკონომიკის შეწონასწორებულ ზრდაში, უფრო სრულად გამოიყენონ დარეზერვი და ტერიტორიული შესაძლებლობანი მაღალი სახალხო-სამეურნეო შედეგების მიღწევისათვის. ამას მოწმობს, მაგალითად, მოსკოვის, კრასნოიარსკის და ზეგისპორეთის მხარეების, ლენინგრადის, სვერდლოვსკის, ხარკოვის, ლვოვის, მინსკის, ყარაგანდის, ჯიზაყისა და მთელი რიგი სხვა ოლქების საბჭოების მუშაობის გამოცდილება. ასეთი გამოცდილება მხარდაჭერის ღირსია და უნდა აისახოს კანონმდებლობაში.

სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაგვითარებით საბჭოების დაინტერესების გადიდების მიზნით პროექტში შეტანილია დებულება, რომ მხარეების, ოლქებისა და ოკრუგების ბიუჯეტებში გადაეცემა შესაბამისი საბჭოების ტერიტორიებზე განლაგებული რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებისა და ორგანიზაციების მოგებათა ნაწილი. საბჭოების ბიუჯეტების შემოსავლის ფორმირებაში მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე საკავშირო დაქვემდებარების საწარმოები და ორგანიზაციები.

დიდი შესაძლებლობები აქვთ საბჭოებს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდების, ასორტიმენტის გაფართოებისა და ხარისხის გაუმჯობესების საქმეში. ბევრს აკეთებენ ამ მიმართულებით, მაგალითად, რუსეთის სფსრ როსტოვის, კუიბიშევის, მურმანსკის, ჩელიაბინსკის ოლქების საბჭოები, მთელი რიგი სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები.

სამართლებრივი ნორმები, რომლებიც გათვალისწინებულია მოცემულ საკითხებზე ახალ კანონში შესატანად, ამ გამოცდილების განზოგადებას ეყრდნობა და ფართო ასპარეზს უსახავს ადგილობრივი საბჭოების ინიციატივას.

სამხარეო, საოლქო და საოკრუგო საბჭოების დიდი როლი აკისრიათ პარტიის აგრარული პოლიტიკის განხორციელების, სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების, მისი ეფექტიანობის ამაღლების საკვანძო პრობლემების გადაჭრის საქმეში.

ამ საკითხებს მიეძღვნა კანონპროექტის მთელი რიგი მუხლები. სამხარეო, საოლქო და საოკრუგო საბჭოები, რომლებიც ზრუნავენ საზოგადოებრივი სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებისათვის, ამუშავებენ და ახორციელებენ აგრეთვე ღონისძიებებს, რომელთა მიზანია საწარმოთა დამხმარე მეურნეობებში და კოლმეურნეების, მუშებისა და მოსამსახურეების პირად მეურნეობებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდება.

საბჭოებს ეკისრებათ განსაზღვრელენ სახელმწიფო მართვა და კონტროლი მიწების, წყლების, ტყეების, წიაღისეულის, ატმოსფერული ჰაერისა და ცხოველთა სამყაროს გამოყენებისა და დაცვის დარგში. უზრუნველყონ გარემოს დაცვის ღონისძიებათა შეფუშავება და შესრულება.

როგორც ცნობილია, საბჭოების საქმიანობა პრაქტიკულად მოიცავს მოსახლეობის ყოველდღიური ცხოვრების ყველა მხარეს. ამის საფუძველზე კანონის პროექტი ითვალისწინებს, რომ საბჭოები ოლქის, ოკრუგის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების შემადგენლობაში ამუშავებენ კრებსითს კარებს სოციალური განვითარების ღონისძიებათა მთელი კომპლექსის შესახებ. ამ კარებში განსაზღვრულია მუშაკთა შრომის პირობების გაუმჯობესების, მოსახლეობის ზოგადი განათლებისა და კულტურის დონის ამაღლების, საბინაო-საყოფაცხოვრებო, სამედიცინო მომსახურების სრულყოფისა და სხვა სოციალურ-კულტურული ღონისძიებანი. მარტო უკანასკნელ ოთხ წელიწადში საექსპლოატაციოდ გადაეცა 423 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი, რის გამო საბინაო პირობები გაუუმჯობესდა 40 მილიონზე მეტ კაცს. სახელმწიფო საბინაო ფონდის მნიშვნელოვანი ნაწილი ადგილობრივი საბჭოების გამგეობლობაშია. ამასთან საბინაო მეურნეობის დარგში საბჭოების როლი სულ უფრო იზრდება იმასთან დაკავშირებით, რომ მათ თანდათანობით გადაეცემათ საუწყებო საბინაო ფონდი, აგრეთვე კომუნალური მეურნეობის ობიექტები. ეს საკითხები აისახა სამხარეო, საოლქო და საოკრუგო საბჭოების შესახებ კანონპროექტშიც.

საბჭოები ყოველდღიურად უნდა ეწეოდნენ მუშაობას, რათა აამაღლონ თითოეული მოქალაქის პასუხისმგებლობა ბინის დაცვა-შენახვისათვის, აქტიურად ჩაებან ამ საქმეში ფართო საზოგადოებრიობა.

საბჭოების დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა უზრუნველყონ შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენება, განამტკიცონ სახელმწიფო და შრომის დისციპლინა. ამ საკითხების გადაწყვეტას კანონპროექტში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა.

ადგილობრივი საბჭოების მუშაობის მნიშვნელოვანი უბანია საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კურსდამთავრებული ახალგაზრდების პროფესიულ-ტექნიკური მომზადება და შრომითი მოწყობა.

კომუნისტური მშენებლობის განუყოფელი ნაწილია მრავალმხრივი მუშაობა მშრომელთა მასების აღზრდისათვის. კანონის პროექტით დასახულია საბჭოების ფართო უფლებამოსილება სახალხო განათლების, ბავშვთა აღზრდის საქმის, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობისადმი ხელმძღვანელობისათვის.

პარტია მოითხოვს მუდმივ ყურადღებას სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების საკითხებისადმი. პროექტი ითვალისწინებს, რომ სამხარეო, საოლქო და საოკრუგო საბჭოები უზრუნველყოფენ კანონების შესრულებას, სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის, სოციალისტური საკუთრების, მოქალაქეთა უ

სამშობლოს ჯილდოების გადაცემა

(დასასრული)

ყველა საბჭოთა ადამიანი დიდად აფასებს საბჭოთა უზენაესი მშრომელთა წარმატებებს, რომლებიც წლითიწლობით ზრდიან ბამბის მოსავალს. გასულ წელს მოსავალმა ხუთი მილიონ მეოცდასამ ათასი ტონა შეადგინა. ჩვენ, მართალი გითხრათ, უკვე შევეჩვიეთ იმას, რომ უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა სულ უფრო ზრდის ამ უძვირფასესი კულტურის მოსავლის რეკორდებს. ამ საქმეში, უეჭველია, ვლინდება მთელი ქვეყნის ყურადღება მებამბეობის განვითარებისადმი. და, რასაკვირველია, აქ უნდა აღინიშნოს მიზანდასახული შემოქმედებითი მოღვაწეობა შარაფ რაშიდის ძე რაშიდოვისა, რომელიც უკვე ოც წელზე მეტია შრომობს უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის პოსტზე.

კონსტანტინე ვიქტორის ძე რუსაკოვმა, ისევე როგორც იმ ამხანაგებმა, რომლებზეც უკვე მოგახსენეთ, დიდი ცხოვრებისეული სკოლა გაიარა. როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, იგი უძღვება პარტიის საერთაშორისო საქმიანობის ერთ-ერთ ყველაზე პასუხსაგებ მიმართულებას — მმართველ კომუნისტურ და მუშათა პარტიებთან ურთიერთობის განვითარებას. კონსტანტინე ვიქტორის ძე რუსაკოვმა კარგად იცის, რას ნიშნავს შიდასაკავშირო და საზღვარგარეთ მუშაობა. ეს გამოცდილება ფასდაუდებელ დახმარებას უწევს მას სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების მეგობრობისა და ძმობის განვითარებისთვის საქმიანობაში.

კლავდი მიხეილის ძე ბოგოლიუბოვი მუშაობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთო განყოფილების გამგის პირველ მოადგილედ, მუშაობს კარგად და თავდადებით. ყველა ამხანაგი, რომელსაც მასთან ურთიერთობა უხდება, აფასებს მის საქმიან და ადამიანურ თვისებებს.

სულითა და გულით მინდა მივულოცო ამხანაგებს მაღალი ჯილდოები და ვუსურვო ჯანმრთელობა, ბედნიერება, დიდი შემოქმედებითი წარმატებები.

ახლა, ნება მიბოძეთ, შევუდგე სასიამოვნო პროცედურას— ჯილდოების გადაცემას:

დინმუხამედ აჰმედის ძე კუნაევს მიენიჭა ლენინის ორდენი.

ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ტიხონოვი დაჯილდოდა ოქტომბრის რევოლუციის ორდენით.

ბორის ნიკოლოზის ძე პონომარიოვი დაჯილდოებულია ოქტომბრის რევოლუციის ორდენით.

შარაფ რაშიდის ძე რაშიდოვს მიენიჭა ლენინის ორდენი.

კონსტანტინე ვიქტორის ძე რუსაკოვს მიენიჭა სოციალისტური შრომის მედრის წოდება და გადაეცემა ლენინის ორდენი და ოქროს მედალი „ნამგალი და ურო“.

კლავდი მიხეილის ძე ბოგოლიუბოვი დაჯილდოდა ლენინის ორდენით. კიდევ ერთხელ სულითა და გულით გილოცავთ, ძვირფასო ამხანაგებო.

დაჯილდოებულებმა მხურვალე და გულითადი მადლობა მოახსენეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, საბჭოთა მთავრობას, პირადად ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს მათი შრომის მაღალი შეფასებისათვის, აღუთქვეს, რომ მთელ თავიანთ ძალ-ღონეს, გამოცდილებასა და ცოდნას მოახმარენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ლენინური საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელებას, კომუნისტური პარტიის, საბჭოთა ხალხის შემდგომი სამსახურის საქმეს, ქვეყნად მშვიდობის დამკვიდრებას.

დამსწრეთ დიდი ყურადღებით მოისმინეს გამოსვლები და ტაშით შეხვდნენ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატებმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნებმა, რომლებიც ჯილდოების გადაცემას ესწრებოდნენ, გულითადად მიულოცეს დაჯილდოებულთ და უსურვეს შემდგომი ნაყოფიერი მოღვაწეობა ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების ასაშენებლად, ქვეყნად მშვიდობისა და პროგრესის საკეთილდღეოდ. (საკ.ფ.).

საერთაშორისო ცხოვრება დღევანდელი ფურცლიდან

საბჭოთა ინიციატივები ყურადღების ცენტრშია

ნიუ-იორკი, 24 ივნისი. საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებისა და გამალებული შეიარაღების შენელების, დაძაბულობის კერების ლიკვიდაციის პრობლემები ძირითად ადგილს დაიკავებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მომავალი XXXV სესიის მუშაობაში, რომელიც 16 სექტემბერს გაიხსნება ნიუ-იორკში. გამოქვეყნდა ასამბლეის წინასწარ დღის წესრიგში შეტანილი 110-ზე მეტი საკითხის ნუსხა. ასამბლეის მუშაობაში მონაწილეობისათვის მოელიან დელეგაციებს 150-ზე მეტი ქვეყნიდან.

წინასწარი დღის წესრიგი მოწმობს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფორუმზე განიარაღების ბევრი პრობლემის განხილვას სტიმული მისცა საბჭოთა კავშირის მიერ წამოყენებულმა სამშვიდობო ინიციატივებმა, რომელთა მიზანია ახალი ომის საფრთხის ლიკვიდაცია და დაძაბულობის შენელების გაღრმავება. ასამბლეა შეაჯამებს საბჭოთა კავშირის წინადადებით მიღებული საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების დეკლარაციის შესრულების შედეგებს, განიხილავს საერთაშორისო ურთიერთობაში ძალის გამოუყენებლობის შესახებ მსოფლიო ხელშეკრულების დადების საკითხს, რომლის იდეა აგრეთვე სსრ კავშირს ეკუთვნის.

მოსალოდნელია, რომ სესიაზე განიხილავენ 80-იანი წლების განიარაღების მეორე ათწლეულად გამოცხადების საკითხს. საბჭოთა კავშირმა და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნებმა წამოაყენეს იმ კონკრეტულ ღონისძიებათა რეალისტური პროგრამა, რომლებიც მოიცავს გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და განიარაღების პრაქტიკულად ყველა ასპექტს.

ეს პროგრამა, რომლის რეალიზაცია ახლანდელ ათწლეულს გადაეცევდა მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფისთვის ბრძოლაში არსებითი წინსვლის წლებად, ჩამოყალიბებულია ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა ამასწინანდელ დეკლარაციასა და წერილში, რომელიც სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ გაუგზავნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს განიარაღების მეორე ათწლეულის ამოცანათა შესახებ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXXV სესიის დღის წესრიგი შეიცავს ბირთვული განიარაღების მთელ რიგ საკითხებს, რომლებიც პირველად წარმოადგინა განსახილველად საბჭოთა კავშირმა.

სესიის ფარგლებში უნდა განხილონ სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ მოლაპარაკების საკითხი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 35-ე სესია განიხილავს მდგომარეობას ახლო აღმოსავლეთში.

დღის წესრიგშია კოლონიური სისტემის, რასიზმისა და რასობრივი დისკრიმინაციის საბოლოო ლიკვიდაციის პრობლემები.

მშვიდობის დასაცავად

ტოკიო. 24 ივნისი. მშვიდობის დასაცავად, ბირთვული ომის საფრთხის წინააღმდეგ მასობრივი გამოსვლებით ეგებება იაპონიის დემოკრატიული საზოგადოებრიობა იაპონია-ამერიკის უშიშროების ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღის მე-20 წლისთავს. კომუნისტური და სოციალისტური პარტიების, სხვა პროგრესული ძალების ინიციატივით მოწყობილი მიტინგებისა და დემონსტრაციების მონაწილეებმა მოითხოვეს ბოლო მოუღონ გამალებულ შეიარაღებას, მოსპონ პენტაგონის მრავალი ბაზა იაპონიის მიწაწყალზე, გააუქმონ ვაშინგტონისა და ტოკიოს აგრესიული მილიტარისტული ალიანსი.

ამ დღეებში იაპონიის ქალაქებში მიმდინარეობს, მშვიდობის საერთო-ეროვნული მარში, რომელიც დაკავშირებულია ამერიკის მიერ ხიროსიმასა და ნაგასაკის ატომური დაბომბვის 35-ე წლისთავთან. მარშის მონაწილეთა რიგებს უერთდება სულ უფრო მეტი იაპონელი. მშვიდობისათვის მებრძოლთა კოლონებში განსაკუთრები ბევრია ახალგაზრდა, რომლებიც გადაჭრით მოითხოვენ არ დაუშვან ბირთვული ტრაგედიის განმეორება და მთლიანად აკრძალონ ატომური და წყალბადის იარაღი.

ტერორისტთა ახალი დანაშაული

რომი. რომის ერთ-ერთ ქუჩაში მოკლეს რესპუბლიკის პროკურორის მოადგილე მარიო ამატო. სავსებით ცხადია, რომ ამ დანაშაულს პოლიტიკური ხასიათი აქვს. რამდენიმე წლის განმავლობაში მ. ამატო არჩევდა ტერორისტული ორგანიზაციების დანაშაულთან დაკავშირებულ საქმეებს. ამ ორგანიზაციათა მსხვერპლნი გახდნენ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის, პროფკავშირების წარმომადგენლები, აგრეთვე სასამართლოს მოხელეები, საგამოძიებო ორგანოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მუშაკები.

თავდასხმიდან რამდენიმე საათის შემდეგ გენუის ერთ-ერთი გაზეთის redakციაში აწყრიალდა ტელეფონის ზარი. ვიღაც უცნობი იტყობინებოდა, რომ დანაშაული ჩაიდინეს ტერორისტული ორგანიზაციის „წითელი ბრიგადების“ წევრებმა, რომლებმაც, კერძოდ, მოკლეს ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი ალდო მორო.

ჯარისკაცებმა დაძაბულობას

სან-ფრანცისკო, 24 ივნისი. როგორც ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული ავიაციის სარდლობის წარმომადგენელმა განაცხადა, ვანდენბერგის (კალიფორნიის შტატი) სამხედრო-საჰაერო ბაზიდან კვაჯალეინის კუნძულზე მდებარე პოლიგონის მიმართულებით გაუშვეს საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტა „მინიტმენ-3“. ეს გაშვება, აღნიშნავს ოუნაიტედ პრეს ინტერნაშნლის საგენტო, „გლოუბლ შილდ-80“ წერთნის ნაწილია, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული ძალები ახორციელებენ.

წელს სტრატეგიული წვრთნა „გლოუბლ შილდი“, რომელიც ამავე სახელწოდებით შარშანაც მოეწყო, განსაკუთრებით დიდი მასშტაბისაა. პრესის ცნობით, წვრთნაში, რომელიც წინასწარ შეუტყობინებლად უნდა დაწყებულიყო, მონაწილეობენ სარაკეტო ძალები და სტრატეგიული ავიაცია, მათ შორის ათასამდე თვითმფრინავი მძიმე ბომბდამშენების ჩათვლით, ამერიკის ბევრი სამხედრო ბაზის რამდენიმე ათასი სამხედრო მოსამსახურე. წვრთნის დროს სტრატეგიული ავიაციის სარდლობის განკარგულებაში გადადის მთელი რიგი სამოქალაქო აეროდრომები.

დასახულია, რომ წვრთნაში მონაწილეობა მიაღებინონ ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე მდებარე 42 სამხედრო ბაზას, აგრეთვე გუამის კუნძულებსა და იაპონიაში განლაგებულ ამერიკის სამხედრო-საჰაერო ბაზებს. წვრთნა ითვალისწინებს ოპერაციათა მთელი კომპლექსის დახვეწას, კერძოდ „ბირთვული განგაშით“ საბრძოლოდ განამზადონ მეოცკეტეები და სტრატეგიული ბომბდამშენების ეკიპაჟები, რომლებმაც იმიტირებული ბირთვული დარტყმა უნდა მიაყენონ „მოწინააღმდეგეს“.

„გლოუბლ შილდ 80“ წვრთნას ამკარად პროვოკაციული ხასიათი აქვს. მისი ოფიციალურად გამოცხადებული მიზანია „მოწინააღმდეგის თავდასხმისათვის პასუხის გაცემის უნარის დემონსტრირება“, მაგრამ, როგორც ცნობილია, შეერთებულ შტატებს ბირთვული დარტყმით არავინ არ ემუქრება. წვრთნა, რომელიც ამერიკიდან ყოველწლიურად უნდა მოეწყოს, მიმდინარეობს ვაშინგტონის მიერ საერთაშორისო დაძაბულობის, ამერიკის შეერთებულ შტატებში მილიტარისტული ისტერიის გამწვავების პირობებში.

ისრაელის მხედრიონის პროვოკაციები

ბეირუთი, 24 ივნისი. ისრაელის მხედრიონმა ახალი პროვოკაციული გამოხდომა მოაწყო სუვერენული ლიბანის წინააღმდეგ. ისრაელის არმიის ქვეგანაყოფი ასზე მეტი ჯარისკაცისა და ოფიცრის შემადგენლობით ათი ჯავშანტრანსპორტიორით შეიჭრა საზღვრისპირა ზონაში და ღრმად წაიწია ლიბანის ტერიტორიაზე. თვითმხილველთა თქმით, ქვეგანაყოფთა შემადგენლობაშია აგრეთვე ტანკები და სხვა სამხედრო ტექნიკა.

როცა მიაღწიეს მარჯაიუნის დასახლებულ პუნქტს, რომელიც სამხრეთ ლიბანის სპარატისტთა კონტროლს დაქვემდებარებულ ანკლავში მდებარეობს, ისრაელელებმა დაიწყეს სანგრების თხრა, პოზიციის მომზადება არტილერიისა და ტანკებისათვის, ტექნიკის შენიღბვა.

ამავე დროს აგრესორისა და სამხრეთლიბანელი სეპარატისტების შორსმსროლელმა არტილერიამ ინტენსიური ცეცხლი დაუშინა ქვეყნის სამხრეთი ნაწილის აღმოსავლეთი სექტორის მთელ რიგ დასახლებულ პუნქტებს.

ისრაელის სამხედრო თვითმფრინავები და ვერტმფრინავები დაზვერვის მიზნით კვლავ დაფრინავენ ლიბანის ტერიტორიაზე. განვლილი დღე-ღამის მანძილზე ისინი არაერთხელ გამორნდნენ ქვეყნის სამხრეთი ნაწილის დასავლეთი და აღმოსავლეთი სექტორების ქალაქებისა და სოფლების თავზე. ისრაელის სამხედრო ხომალდები ყოველდღიურად პატრულობენ ლიბანის ტერიტორიულ წყლებში უშუალოდ სანაპიროს ახლოს.

ფოტოინფორმაცია



თეთრი სახლის ანტიინფლაციური პროგრამა ბევრი ამერიკელისათვის ავის მომასწავებელი გამოდგა. მრეწველობის მრავალი დარგის საწარმოებში სამუშაოდან ითხოვენ ათასობით ადამიანს. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა საავტომობილო მშენებლობაში. „ფორდ-მოტორსის“, „კრაისლერის“, „ჯენერალ მოტორსის“ კომპანიები ხურავენ თავიანთ საწარმოებს.

სურათზე: „კრაისლერის“ კომპანიის ქალაქ ფენტონის (მისურის შტატი) სატვირთო ავტომანქანების ქარხნის ადმინისტრაციის წარმომადგენლები არიგებენ უწყებებს სამუშაოდან დათხოვნის შესახებ.

იუპი-საკდის-საქინფორმის ფოტო.

25 ივნისი მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დღეა

ხუთი წლის წინათ აფრიკის კონტინენტზე დაემხო კიდევ ერთი კოლონიზატორული რეჟიმი. განმათავისუფლებელი ფრონტის ხელმძღვანელობით მოზამბიკელი ხალხის ბრძოლა პორტუგალიელი დამპყრობლების წინააღმდეგ გამარჯვებით დაგვირგვინდა. კონტინენტის სამხრეთ ნაწილში შეიქმნა სახალხო რესპუბლიკა, რომელმაც უარყო განვითარების კაპიტალისტური გზა და მიზნად დაისახა უექსპლოატატორო, თანასწორუფლებიან ადამიანთა საზოგადოების აშენება.

მეტისმეტად ძნელი იყო ახალგაზრდა რესპუბლიკის პირველი ნაბიჯები. მან მემკვიდრეობად მხოლოდ გაპარტახებული სამრეწველო საწარმოები და მომლილი წვრილგლეხური სოფლის მეურნეობა მიიღო. კოლონიზატორთა წასვლის შემდეგ ქვეყანაში თითქმის აღარ დარჩნენ სპეციალისტები, რომლებიც მაღალ დონეზე წარმართავდნენ ფაბრიკა-ქარხნებს ან ეროვნული მსხვილი ფერმების მუშაობას. და ეს იმიტომ მოხდა, რომ 200 ათას პორტუგალიელთან ერთად მოზამბიკი დატოვეს რესპუბლიკისადმი მტრულად განწყობილი წრეების პროპაგანდით დამფრთხალმა ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა, ექიმებმა, აგრონომებმა, მექანიკოსებმა, მასწავლებლებმა, იურისტებმა, ვეტერინარებმა და სხვა პროფესიათა სპეციალისტებმა. შეიძლება ითქვას, რესპუბლიკა ცარიელ ადგილზე იწყებდა ახალი ცხოვრების შენებას.

განვლილმა ხუთმა წელმა მსოფლიოს დაანახვა, რომ მოზამბიკელი ხალხი არ შემცდარა თავის არჩევანში. რესპუბლიკა სულ უფრო სწრაფად ვითარდება, ძლიერდება მისი ეკონომიკა, აღმავლობის გზას ადგას მრეწველობა და სოფლის მეურნეობა. თავიდანვე დაუწესდა სახელმწიფო კონტროლი მთავარ დარგების მუშაობას. ნაციონალიზებულია მსხვილი ფაბრიკა-ქარხნები. სახელმწიფო კონტროლს დაექვემდებარა აგრეთვე სკოლების, იურიდიული კანტორების, საავადმყოფოების საქმიანობა.

ახლა რესპუბლიკის მთავარი პრობლემა მაღალპროდუქტიული სასაქონლო სოფლის მეურნეობის შექმნაა. ამ მიზნით იქმნება სახელმწიფო მეურნეობები, კოლექტიური სოფლები და კოოპერატივები.

ქვეყნის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაში მოზამბიკს დიდ დახმარებას უწევენ სოციალისტური ქვეყნები და საბჭოთა კავშირი. დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე მოზამბიკის რესპუბლიკასთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა საბჭოთა კავშირმა. ამ ორი ქვეყნის ურთიერთობა სულ უფრო ღრმავდება 1977 წლის მარტში ხელმოწერილი მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების საფუძველზე. ამ თანამშრომლობის შედეგებს ახლა დიდად აფასებენ მოზამბიკის ყოველ კუთხეში. ხშირად შეხვდები ქვეყნის მინდვრებში მომუშავე საბჭოთა მარკის ტრაქტორებს და კომბაინებს „ბელორუსსა“ და „ნივას“. მეურნეობებში მოღვაწეობენ საბჭოთა აგრონომები, ნავსადგურებში — მეზღვაურები, წიაღისეულ სამდიდრეთა დაზვერვაში ეხმარებიან ჩვენი გეოლოგები, ხოლო მაპუტუს უნივერსიტეტში სტუდენტებს ასწავლიან საბჭოთა პედაგოგები.

„საბჭოთა კავშირი, — ამბობდა მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი ს. მაშელი, — თავიდანვე მხარს უჭერდა მოზამბიკის განთავისუფლების ფრონტს. სსრ კავშირი გვიწევდა პოლიტიკურ, მორალურ, დიპლომატიურ და მატერიალურ დახმარებას. ჩვენ გვაკავშირებს თავისუფლებისათვის, სოციალიზმისა და მშვიდობისათვის ბრძოლის საქმე“.

ამერიკელებმა ბანდიტებს

დელი, 24 ივნისი. „გაკეთებულია ჩინეთში“ — ასეთი დამღა აზის იარაღს, რომელიც მეამბოხეებმა დაყარეს სამხედრო ბადრაგთან ბრძოლის დროს. ეს იარაღი, რომელიც მას თავს დაესხნენ იაკალ-სილჩარის გზაზე. ბანდიტური გამოხდომების შედეგად დახოცილია ოთხი და დაჭრილია 20 ინდოელი სამხედრო მოსამსახურე. უკანასკნელი ათი დღის განმავლობაში ეს უკვე მეოთხე შეიარაღებული აქციაა სეპარატისტებისა ეგრეთ წოდებული მიზოს ეროვნული ფრონტიდან, რომელიც ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში თარეშობს.

მეამბოხეთა გამოხდომამ ერთხელ კიდევ ცხადყო ის ფაქტი, რომ ამგვარი გამოსვლების მიღმა დგანან ჩინეთის სპეცსამსახურები. მათი საქმიანობა მიზორამით როდი ამოწურება. მართა მანიპურის შტატში ამ ბოლო დროს დააპატიმრეს სეპარატისტული ორგანიზაცია „კანგლეპაკის სახალხო-რევოლუციური არმიის“ 20-ზე მეტი წევრი, რომლებსაც გაჩხრეკისას უპოვეს ჩინური იარაღი, ფურცლები, აგრეთვე დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი-ინსტრუქცია, რომელსაც ერთვის ქალაქ ლხასის (ტიბეტი) მახლობლად მოქმედ ჩინეთის დივერსიულ ცენტრებში ინდოელ მეამბოხეთა მომზადების დაწვრილებითი გეგმა.

ინდოეთის პრესას არაერთხელ აღუნიშნავს, რომ სწორედ ამერიკის შეერთებული შტატები და ჩინეთი, რომლებიც დაინტერესებული არიან ინდოეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდგომარეობის დესტაბილიზაციით, აღვივებენ სეპარატისტულ და ნაციონალისტურ განწყობილებას ამ რაიონების მოსახლეობაში, იარაღით, ფულით, პროპაგანდისტული ლიტერატურით ამარაგებენ ბანდიტებს. ასობით მეამბოხე, აღნიშნავენ გაზეთები, გადის ან უკვე გავლილი აქვს სამხედრო და იდეოლოგიური მომზადება ჩინეთის სპეციალურ ბაზებში.

ეგვიპტეში ბანდიტიზმი

ბეიმბა, 24 ივნისი. ეგვიპტეში ბანდიტიზმი ფართოვდება. ბოლო ორი კვირის განმავლობაში ეგვიპტეში ჩადგა ნავთობის გადასამუშავებელი ქარხანა. ეს უახლესი ტექნოლოგიით აღჭურვილი თანამედროვე საწარმო სიდიდით მეორე ამგვარი სამრეწველო ობიექტია ქვეყანაში.

● **ლონდონი.** სამოცდაათი წლების შემდეგ ყველაზე ძლავრი საპროტესტო დემონსტრაცია გაიმართა ინგლისის დედაქალაქში დიდი ბრიტანეთის მთავრობის თავშეუკავებელი გამალებული შეიარაღების დამფუძველი კურსის წინააღმდეგ. ბრიტანეთის პროფკავშირებისა და ლეიბორისტული პარტიის მოწოდებით მოწყობილი დემონსტრაციის მონაწილეებმა მოითხოვეს შეამცირონ სამხედრო ბიუჯეტი და ამის შედეგად განთავისუფლებული სახსრები მოახმარონ სოციალურ საჭიროებებს, გამოიყვანონ ქვეყანა ნატოს ბლოკიდან.

● **ტრიპოლი.** სიმტკიცისა და წინააღმდეგობის ეროვნული ფრონტის პოლიტიკურმა კომიტეტმა, რომელიც თავის რიგებში აერთიანებს ალჟირს, ლიბიას, დემოკრატიულ იემენს, სირიასა და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციას, ლიბიის დედაქალაქში გახსნა საგანგებო სხდომა. იგი მიეძღვნა იმ მდგომარეობის განხილვას რეგიონში, რომელიც შეიქმნა ლიბიის საზღვარზე ეგვიპტის ჯარების კონცენტრაციისა და სადათის მიერ ეგვიპტის დასავლეთ რაიონებში საგანგებო წესების შემოღებინ შედეგად.

● **სან-ხოსე.** სალვადორის რევოლუციური დემოკრატიული ფრონტის ხელმძღვანელობამ ყველა სალვადორელ პატრიოტს მოუწოდა გააჩაღონ ბრძოლა მმართველი რეჟიმის წინააღმდეგ. გავრცელებულ განცხადებაში ფრონტი მხარს უჭერს სალვადორელ შრომელთა საყოველთაო გაფიცვას.

● **დელი.** ინდოეთში შეიმუშავეს 1980-81 საფინანსო წელს სახალხო მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების პროგრამა. ამ პროგრამაში მთავარი ყურადღება ეთმობა კვლევის გაფართოებას ცოდნის ყველაზე მოწინავე დარგებში, უწიგნურობის წინააღმდეგ ბრძოლის სპეციალური პროექტების მომზადებას, ინდოეთის ახალგაზრდობის ფართო ფენების ჩაბმას სამეცნიერო-ტექნიკურ შემოქმედებაში.

მოკლედ

ყოველი მხრიდან

24 ივნისი

იორდანიის მეფის განცხადება

ვაშინგტონი, 24 ივნისი. იორდანია არ შეუერთდება ამერიკის შეერთებული შტატების ეგიდით შემუშავებულ კემპ-დევიდის სეპარატულ შეთანხმებას ისრაელსა და ეგვიპტეს შორის, ვინაიდან იგი დაბრკოლებას ქმნის ახლო აღმოსავლეთის სამართლიანი, ყოვლისმომცველი მშვიდობიანი მოწესრიგების გზაზე. ეს კვლავ განაცხადა ამერიკის შეერთებულ შტატებში ოფიციალურ ვიზიტად მყოფმა იორდანიის მეფე ჰუსეინმა.

ენ-ბი-სის კომპანიის სატელევიზიო პროგრამით „პრესასთან შეხვედრა“ გამოსვლის დროს მეფემ აღნიშნა, რომ ეგრეთ წოდებული „კემპ-დევიდის პროცესი“ აჭიანურებს ახლო აღმოსავლეთის პრობლემის გადაჭრას. ისრაელ-ეგვიპტის გარიგებას, აღნიშნა მან, ტელ-ავივი იყენებს არაბეთის ოკუპირებულ მიწებზე თავისი ბატონობის გამარდისების დასაფარავად.

ჩვენ მხარს ვუჭერთ მშვიდობას ახლო აღმოსავლეთში, აღნიშნა ჰუსეინმა, მაგრამ სამართლიან, ყოვლისმომცველ მშვიდობას, რომელიც შეესაბამება ამ რაიონის ყველა ხალხის მისწრაფებებს და უწინარეს ყოვლისა დააკმაყოფილებს პალესტინელი ხალხის კანონიერ უფლებას. მეფემ აღნიშნა, რომ კემპ-დევიდის გზა ახლო აღმოსავლეთში მხოლოდ მდგომარეობის შემდგომ გამწვავებას, ამ რაიონში „უკმაყოფილებასა და არასტაბილურობას“ გამოიწვევს.

ალჟირი ამბობს

ალჟირი, 24 ივნისი. ალჟირი ამბობს, ეს ინფორმაცია ეკუთვნის ალჟირის ინფორმაციათა სააგენტოს,

საქართველოს მუშა და სოფლის კორესპონდენტთა შეკრებასთან დაკავშირებით, რომელიც დღეს ქ. ქუთაისში გაიმართება, ქვემოთ ვბეჭდავთ სრულიად საქართველო ს მუშაკებ-კორთა პირველი რესპუბლიკური თათბირის (1929 წ. 12 მაისი) მონაწილის გრ. იარალოვის წერილს.

პრესის თვალი და ყური

საბჭოთა პრესის საზრუნავი მუდამ იყვნენ ისინი, ვინც უმაღლოდ ცხოვრების შუაგულში ტრიალებს, უკეთ იცნობს მის ავ-კარგს და საჭირო შემთხვევაში სხვებზე უფრო მიუდგომლად წერს სიმართლეს — ესენი მუშა-სოფლკორები არიან.

ვ. ი. ლენინი ამბობდა: „მუშათა გაზეთს მხოლოდ მუშათა მასები უნდა ქმნიდნენ“.

ისინი, ვინც ჩვენს პრესას ასაზრდოებს, მუდამ გარემოსილი იყვნენ და არიან პარტიის მზრუნველობითა და ყურადღებით. ადრე თითოეული გაზეთი თუ ჟურნალი დამოუკიდებლად ზრუნავდა მათზე. რედაქციებში არსებობდა სპეციალური მასობრივი მუშაობის აპარატი, ადგილებზე მუშაობდა წრეები, ეწყობოდა სემინარები, იმართებოდა მკითხველთა კონფერენციები და სხვ. განსაკუთრებით კარგად იყო დაყენებული ეს საქმე „ზარია ვოსტოკაში“, სადაც მოქმედებდა მუშსოფლკორთა კაბინეტი. დიდ ობიექტებსა და მშენებლობებზე რედაქციებს ჰქონდათ მუშსოფკორთა საგუშაგოები, პუნქტები, რომელთაც აძლევდნენ კონკრეტულ დავალებებს, როდის რა მასალა სჭირდებოდათ და რაზე უნდა გაემახვილებინათ ყურადღება.

„კომუნისტს“, „მუშასა“ და სხვა გაზეთებს შემოღებული ჰქონდათ რუბრიკა „ჩვენი ფოსტა“, რომლითაც სისტემატურად ესაუბრებოდნენ ავტორებს და ატყობინებდნენ რატომ არ გამოქვეყნდა ესა თუ ის ინფორმაცია, როგორ და რაზე უნდა ეწერათ და სხვ. ხშირად იბეჭდებოდა გაზეთებში მიმართვა „კორესპონდენტთა საყურადღებოდ“. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობდა „ახალგაზრდა კომუნისტი“.

ამით წახალისებული ქალაშვილები და ჭაბუკები კლასობრივი მტრის მხრივ საშინელი დევნის, შევიწროების, თავდასხმებისა და ხშირად სიცოცხლის ხელყოფის მიუხედავად კალამს არ აგდებდნენ ხელიდან და ერთგულად ემსახურებოდნენ რევოლუციის, პარტიისა და ხალხის საქმეს.

შეუძლებელია აქ ყველაფრის გახსენება, მაგრამ არ შემიძლია არაფერი ვთქვა პირველ შეკრებაზე, რომლის მონაწილე მეც გახლდით. 1929 წლის 12 მარტს თბილისში, განათლების მუშაკთა სახლში (ამჟამად მასწავლებლის სახლი) გაიხსნა სრულიად საქართველოს მუშკორთა, გლეხკორთა, ახკორთა და სამხკორთა პირველი რესპუბლიკური თათბირი.

თათბირს 500-მდე დელეგატი ესწრებოდა. შესავალი სიტყვა წარმოთქვა და თათბირი გახსნა მიხა ცხაკაიამ, მიმდინარე მომენტისა და პრესის ამოცანების შესახებ მოხსენება წაიკითხა საქართველოს კპ (ბ) ცკ-ის მდივანმა მ. კახიანმა, მუშგლეხკორთა მეოთხე საკავშირო თათბირის შედეგებზე და საქართველოში მუშგლეხკორთა მოძრაობის მდგომარეობასა და ამოცანებზე მოხსენებაში აღინიშნა, რომ იმ დროისათვის საქართველოში მუშგლეხკორთა რიგებში ირიცხებოდა 7 ათასამდე კაცი, მათ შორის 1470 კომუნისტი, 1700 კომკავშირელი, 225 ქალი და სხვ. კამათში 135 დელეგატი ჩაეწერა, მაგრამ სიტყვა, ცხადია, ყველას არ შეხვდა. ორატორები ლაპარაკობდნენ კედლის გაზეთების შინაარსის გაუმჯობესებაზე, კორესპონდენტთა დევნის ზოგიერთ ფაქტზე.

კახეთიდან ბევრნი არ ვყოფილვართ. ვიცნობდი მხოლოდ საქართველოს ალკკ კახეთის საოლქო კომიტეტის აგიტპროპორგანიზატორს — არჩილ კოკილაშვილს (არკო), როგორც ახკორს. შევთანხმდით, ერთი ჩვენგანი გამოსულიყო და საერთო აზრი გამოეთქვა, კერძოდ, მოეთხოვა სპეციალური ჟურნალის გამოცემა. გამოვდა არჩილი. ჩვენს წინადადებას სხვა ორატორებმაც დაუჭირეს მხარი და თათბირის რეზოლუციაშიც შეიტანეს. მართალაც, მაისში უკვე გამოვიდა „საქართველოს მუშგლეხკორის“ პირველი ნომერი.

ჟურნალი ორკვირეული იყო, გამოდიოდა „კომუნისტის“ რედაქციასთან და კარგ სამსახურს უწევდა მუშგლეხკორებს, პროფესიონალ ჟურნალისტებს და მოსწავლე ახალგაზრდობასაც. დღეს კი, სამწუხაროდ, ჟურნალისტთა კავშირს არავითარი ორგანო არა აქვს.

იმ თათბირის ბოლო სხდომაზე, კამათის დროს, პრეზიდიუმში გამოჩნდა ფილიპე მახარაძე, დელეგატები მას ფეხზე ადგომითა და მხურვალე ოვაციებით შეხვდნენ.

— ნება მომეცით, — განაცხადა ფ. მახარაძემ, — მხურვალედ მოგესალმოთ საქართველოს პარტიისა და მთავრობის სახელით და ჩემი სოლიდარობა გამოგიცხადოთ იმ საქმეში, რომელსაც თქვენ ემსახურებით. მე საშუალება არ მქონდა დავსწრებოდი თათბირის პირველ სხდომებს, რასაც ძალიან ვწუხვარ. თქვენ კარგად იცით, თუ რა რთული და ძნელია ის აღმშენებლობა, რომელსაც მშრომელები კომპარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელობით ეწევიან. ჩვენს აღმშენებლობას ზოგჯერ შეცდომა სდევს. ამ შეცდომების გამოსწორება კი მასების დახმარებით არის შესაძლებელი.

თითოეული მუშგლეხკორი ხელისუფლების თვალი და ყურია სოციალისტური მშენებლობის საქმეში.

სხვათა შორის, იმ შეკრებაზე ფ. მახარაძე საპატიო მუშკორად აირჩიეს.

ზემოთ მოგახსენეთ, რომ 1929 წლის თათბირზე გარკვეული ითქვა რესპუბლიკაში რამდენი მუშგლეხკორი იყო და რა კეთდებოდა მათს დასაარსებლად. დღეს რესპუბლიკაში მუშსოფლკორთა მოძრაობის საერთო ხელმძღვანელობა ჟურნალისტთა კავშირს აქვს, მაგრამ ამით რედაქციებს არ ეხსნებათ პასუხისმგებლობა თავიანთი ძირითადი დასაყრდენის აღზრდის, სწავლებისა და ზრდისათვის.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ დღეს ჩვენი გაზეთების ფურცლებზე თითქმის აშეიათი ჯახდა ნაცადი „პრესის მიმოხილვის“ რუბრიკა, საჭიროა კი იგი განმტკიცდეს. იქნებ სჯობდეს, ჟურნალისტთა კავშირმა შემოიღოს დრო-დადრო გაზეთების კვალიფიციური რეცენზირება-განხილვა.

ჩვენი დღევანდელი შეკრება დიდი მნიშვნელობისაა. მისმა შედეგებმა წინ უნდა წასწიოს მუშსოფლკორთა შორის მუშაობა.

გრ. იარალოვი,
საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი.

ჟურნალისტი
ლენინური ალმანახი

ლენინური ალმანახიდან

□

თბილისი, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას

ალპინიზმში წარშანდელი სეზონის საკავშირო ჩემპიონატში გამარჯვებულმა „განთიადის“ გუნდმა, რომელიც წლეულსაც მონაწილეობს სსრ კავშირის ჩემპიონატში მაღლივ-ტექნიკურ კლასში, ბანაკი დაიდო მყინვარ ფორტამბეკზე. იგი მდებარეობს ცენტრალურ პამირზე, ზღვის დონიდან 4 ათას მეტრზე. გუნდმა დაიწყო მზადება საკლმატიზაციოსაწვრთნელი ასვლისათვის. კოლექტივის წევრები თავს კარგად გრძნობენ. ექსპედიციის უფროსი **ქართველიშვილი“.**

უძლიერესის სახელისათვის

საქართველოს პირველობის (უმაღლესი ლიგა) მეცამეტე ტურში ჩაჩიბაიამ, რომელიც განსაკუთრებით კარგად ლიდერების წინააღმდეგ იბრძვის, შეაჩერა აზმაიფარაშვილის წინსვლა, რთული ბრძოლის შემდეგ ჩაჩიბაიას ზედმეტი ფიგურა დარჩა ორ ბაიში. გადადებულ პარტიაში აზმაიფარაშვილის მდგომარეობა ძნიმეა.

ალექსანდრია-ზაიჩიკის შეხვედრაში ვერცერთმა მხარემ ვერ მიაღწია უპირატესობას. 26-ე სვლაზე აღინიშნა ყაიმი. სტურუამ კარგად ითამაშა ეფიმოვთან და მორიგი გამარჯვება იზეიმა. გელეგანიშვილი, რომელიც საკრიზო ადგილისათვის ბრძოლის შესაძლებლობებს ინარჩუნებს, დამარცხდა ნეურონოვთან. ორი ნორჩი ქუთაისელი მოჭადრაკის გ. გიორგაძისა და შავგულიძის შეხვედრა დამთავრდა გიორგაძის გამარჯვებით, რომლისთვისაც ეს პირველი მოგებაა ამ ტურნირში, ხოლო დ. გურგენიძემ დაამარცხა ჩიგოგიძე. დანარჩენი შეხვედრები გადაიდო. თორია-მაჭარაშვილის პარტია არ გამართულა თორიას ავადმყოფობის გამო.

გუშინ გათამაშდა გადადებული და გამოტოვებული პარტიები, რომლებმაც სიცხადე შეიტანეს სატურნირო ცხრილში.

ჩაჩიბაიამ მოუგო აზმაიფარაშვილს. ეს ლიდერის პირველი დამარცხებაა. სტურუამ მოუგო გედევანიშვილს, წააგო ნეურონოვთან. მესამე გადადებული პარტიის დამთავრება გ. გიორგაძესთან სტურუამ ვერ მოასწრო. ჩიქოვანხანთაძის პარტია ყაიმით დამთავრდა.

13 ტურის შემდეგ 11,5 ქულით პირველ ადგილზეა აზმაიფარაშვილი. 9,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს სტურუას, 9,5 ქულა — ალექსანდრიას.

გ. გამრეკელი.

სატურნირო ორბიტა

ჰავანაში. ოდესაში მიმდინარე ქალთა მსოფლიო პირველობის მეთხუთმეტენალური მატჩის მერვე პარტია ტატიანა ლუმაჩოსა (ბულგარეთი) და მარტა ლიტინსკაიას (სსრ კავშირი) შორის გადაიდო, ჯერჯერობით ანგარიშია 4,5:2,5 ლიტინსკაიას სასარგებლოდ.

ერევანში გათამაშდა ევროპა საერთაშორისო ასპარეზობის ბოლო ტური. არშაკ პეტროსიანმა და ცეშკოვსკიმ შეჯიბრება 10,5-10,5 ქულით დაამთავრეს. რომანიშინმა 10 ქულა დააგროვა, ტალმა — 9.

რიგში. საკავშირო ჩემპიონატის ორწლიანი ფინალური ასპარეზობის პირველ ტურში ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდმა მიიღო თბილისის „ლოკომოტივი“ და დაამარცხა — 18:4. მოსკოვის „სლავამ“ მოუგო კიევის „ავიატორს“ — 21:6, მოსკოვის „ფილმმ“ — მოსკოვის „ლოკომოტივს“ — 13:7. აკადემიის გუნდს 18 ქულა აქვს, „სლავას“ — 15, მოსკოვის „ლოკომოტივს“ — 12, „ფილის“ — 11. „ავიატორს“ და თბილისის „ლოკომოტივს“ 8-8 ქულა.

თანამედროვე ხუთიდი. დონის როსტოვში მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატის სამი დღის შემდეგ დაწინაურდნენ ეგვენი ლიპეევი (3104 ქულა) და ანატოლი სტარასტინი (3054 ქულა).

რედაქტორის მოადგილე
ლ. კიკნაძე.

ტელევიზია

25 ივნისი

პირველი პროგრამა: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.50 — ფილის ვარჯიში (მ.), 17.00 — ამბიტურიენტთათვის — მათემატიკა (ფ.), 17.30 — განცხადებები (ფ.), 17.35 — შევისაწყლოთ ეკრანული ენა (ფ.), 18.05 — პოლოური საგეგლვაზეთი მრავალფერიანები მხატვრული ფილმი „მიზანი, რომელიც სიცოცხლეზე მეტია“. მე-13 სერია (ქართულ ენაზე), 19.00 — მულტიპლიკაციური ფილმი, 19.15 — ციკლიდან „კომუნისტები“ — „მშენებლები“ (ტრისტან ქართველიშვილის ბრიგადა. (ფ.), 19.45 — „ფილის მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „მოამბე“ (ფ.), 20.30 — ქართული მხატვრული ფილმი „წუთისოფელი“, 21.50 — მულტიპლიკაციური ფილმი. 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.45 — „სერგი პროკოფიევის სიმფონიური პოემა „შემოქმედება“ (ფ.), 23.25 — საბოლოო მიმოხილვა (ფ.), 23.55 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა: 16.00 — სკოლიანებისათვის — მასალათა გამლეობა (ფ.), 16.45 — განცხადებები (ფ.), 16.50 — მოსწავლეთათვის — „შეხვედრა მასთან“ (ფ.), 17.35 — დოკუმენტური ფილმი. 18.35 — მოერის ანსამბლი „შვიდკაცა“ (ფ.), 19.05 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „აქ არის ჩემი ნავსაყუდელი“ (ფ.).

ჟრიგნის თარო

ჭიდილი სიტყვასთან

ორმოც წელიწადზე მეტია, რაც შალვა ამისულაშვილმა პირველი ლექსები გამოქვეყნა და სტრიქონებად ქცეული ფიქრები ხალხს გაუმხელია. ამჟამად კი, თუ მის მდიდარ და მრავალფეროვან შემოქმედებას დასაწყისიდან დღემდე თვალს გავადევნებთ, იგი არა მარტო ამ ერთი ადამიანის, მთელი მისი თაობის სისხლხორცეულ და სულიერ პოეტიზირებულ ბიოგრაფიად წარმოგვიდგება.

18-19 წლის ჭაბუკი უკვე სერიოზული გულმოდგინებით ეკიდებოდა ქართულ ღონიერ სიტყვას და ჯერ კიდევ სამამულო ომის დაწყებამდე მიიქცია პოეზიის მოყვარულთა ყურადღება. მაშინ იგი აკვირდებოდა წყალში ჩაკიდებულ ლურჯ ზესკნელს და ამღვრეული ღრუბლების ქარავანთა შორეთისაკენ მგზავრობას, ყოველგვარი ნატვრა ფერადი ფარჩეულით ემოსებოდა, მის წინ „მზეში ჩახჩახით გადასძახოდა ჩანჩქერი: „სიყვარულის და გმირობის დროაო“; კვიცივით მოთამაშე მართალი სიტყვის გასახედნად და გასაჯირითებლად ემზადებოდა.

ახალგაზრდა პოეტს სტკიოდა ბაქოს 26 კომისრის დაღვრილი სისხლი, ნატრობდა, სიკეთეს ყველგან მუდმივად დაებუდებინა, არსად ეფრინა ყორანს, რამეთუ „ყორანს ცხოვრების ნება ვინ მისცა, უნდა იხარონ ყველგან მერცხლებმაო“. ეს თითქოს იდუმალი წინათგრძნობაც იყო მოსალოდნელი ავბედობისა, მაგრამ ამ ქვეშეცნეულ წინათგრძნობას ოპტიმისტური რწმენაც ახლდა. აი, მაშინდელი ამოძახილი:

დგანან მუხები.. მკლავებივით
გაშლილ ტოტებზე
ჭანგდაბასრული არწივები
ხსედან ზვიადად,
თუ ვინიცობა — ყვავ-ყორნები
გაჩნდნენ ოდესმე —
მათი ჯილაგი ამოგდონ
ძირფესვიანად!..

მართლაც, მალე აიშალნენ სვასტიკიანი ყვავ-ყორნები და წიალებშებმული მარხილები, რომლებითაც დაჭრილები მიჰყავდათ, გაიფიქრა, ეგებ მათ შორის ქართველიც ურევიაო და შესძახა: „იჩქარეთ, ძაღლებო! იქნება გადაარჩინოთ ვაჟკაცი სიკვდილსო“.. აბა, რა იცოდა მაშინ მან, რომ სწორედ იმ მიდამოებში სიკვდილს ებრძოდა მისი უფროსი ძმა. და, აი, შინ დაბრუნებული პოეტი ჯარისკაცი ჭადართან იგონებს ჯარში გაწვეულ პატარა, ფერმკრთალ ძმას, ჭადარზე რომ ამოუკვეთია თავისი სახელი.

ახლა ის ძმა ბუდაპეშტში აღმართული მარმარილოს ობელისკის ქვეშ საძმო საფლავში წევს, ჭადარს კი ომში გმირულად დაღუპული ვაჟკაცის სახელი აუმაღლია...

დაილოცოს საქართველოს ცა
და მიწა,
მისი მტერი სადაც იყოს,
თრთოლეს რისხვით,
თუ ძმას ბედმა აქ დამარხვა არ
აღირსა,
ეს ჭადარი იყოს მისი
ობელისკი!..

ამ ლექსს არც ტკივილი აკლია, არც ტკივილის მალამო. აქ სევდა-ნაღველს იმედის შუქი ენაცვლება, სიკვდილს — სიკვდილის დამთრგუნველი ძალის ოადადისი. პოეტმა ამ ლექსით ძეგლი დაუდგა არა მარტო ომში სახელოვნად დაღუპულ ძმას, ყველას, ვინც ომიდან შინ ვერ დაბრუნდა. ეს არის ამ ნაწარმოების და, საერთოდ, შალვა ამისულაშვილის პოეზიის მთავარი ღირსება.

ომისშემდგომი დიდი აღმშენებლობის ფერხულში ჩადგა პოეტი. ნათელი აზროვნებით სავსე გულიანი ლექსებით იგი უგალობს ჰეროიკულ შრომას, სიცოცხლის სიხარულს და მშვიდობიან დღეებს, რომეთუ:

ვისაც თვალში უცქერია
სიკვდილისთვის,
მანვე იცის უკეთ ყადრი
სიცოცხლისა!

პოეტის ახლადგამოცემულ წიგნში, რომელსაც „ჭიდილი სიტყვასთან“ ჰქვია, ჭეშმარიტი პოეზიის სულით განთქმული ბევრი კარგი ლექსია. იგი უმღერის დიდ ადამიანურ სიყვარულს და იმ უწმინდეს გრძნობას, რომელზეც დიდმა ვაჟამ ასე იღაღადა: „არ შეიძლება მოკვდეს ლამაზი არსი ჩვენი კაცობისაო“. ქართული პოეზიის ტაძარში შალვა ამისულაშვილს თავისი სანთელი უნთია და მისი უპირველესი სალოცავი შშობლიური ქვეყანაა, ამ ქვეყნის უძველესი სული, დღეკანდელი დღე და მომავალია.

პოეტმა გამოაქვეყნა რამდენიმე კარგი პოემაც, რომელთაგან გამოირჩევა „ბაკურციხელი ნაღბანდი“. აქ ავტორი რამდენიმე საინტერესო ბუნების ადამიანს გვაცნობს. დაპირისპირებულია ორი ომგადახდილი ვაჟკაცი — ნიკა და თამაზი. ორივეს ხასიათი მართლაც რომ ჩინებულად არის დახატული. ასევე საინტერესონი არიან ძველი ნაღბანდი ხვთისავარი და დურგალი მიხა. მკვეთრად წარმოგვიდგება მარიამის დრამატული სახეც.

პოემა სიზმრის ზეგავლენის ნაცადი ხერხი თავისებურად გამოიყენა, სიზმრის საშუალებით წარმოსახა ადამიანის სულის ქნჯნა, თამაზის გამოფხიზლება, ორი ფერის ჭიდილი და ადამიანში კეთილი საწყისის გამარჯვება. ეს უკვე ახლებურია, მხოლოდ ამისულაშვილისეული. პოეტმა პოემებშიც გაიმარჯვა, როგორც ხასიათებისა და ეპიკური ამბების მხატვარმა.

ორმოც წელიწადზე მეტია შალვა ამისულაშვილი სიტყვასთან მწერლის კალმით ფალავნობს და პოეზიის დიდ უღელში თავის ჯამბარას ეწევა. როგორც თვითონვე ამბობს: „—მამაჩემი მიწას ებრძოდა ბაკურციხეში, მე — სიტყვას თბილისის ცისქვეშო“. მას ვაჟკაცური შემართება, პოეტური აღმფრენა და ადამიანური უბრალოება არასოდეს აკლდა, არც სიტყვის სიღარიბე უგრძვნია ოდესმე; მწერალი ახლაც სავსეა შემოქმედებითი ენერგიით, ძიებით, ლტოლვით ახალი პოეტური საღებავების მოსაპოვებლად. ჭიდილი სიტყვასთან გრძელდება!

აკაკი გეწაძე.

ქართული ავეჯის სამყაროში

ეს მომხმარებელს მოეწონება







ვირველი, რაც ამ მრავალსართულიან შენობაში თვალში გეცემათ, სხვადასხვა სახის ავეჯის ნიმუშია. შეიძლება ითქვას, უეცრად ხედებით ავეჯის საინტერესო სამყაროში.

მაგრამ ეს მუზეუმი არ არის, რადგან თქვენ აქ ხედავთ არა ისეთ ავეჯს, რომელსაც უკვე შეეჩვია თვალი, არამედ სრულიად ახალს, ორიგინალურს, რომელსაც თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ ქართული ეროვნული ტრადიციებისა და თანამედროვე კომფორტის შერწყმის საინტერესო ნიმუში.

ეს დიდი გამოფენა სამეცნიერო საწარმოო გაერთიანება „საქავეჯპროექტის“ შენობის პირველ სართულზეა მოწყობილი. ამ გაერთიანების კოლექტივი დიდ მუშაობას ეწევა ავეჯის ახალი მოდელების მხატვრული კონსტრუირება-დაპროექტებისა და ხის დამშუშავებელ საწარმოებში მისი სერიული გამოშვების დანერგვისათვის, ტექნოლოგიური პროცესების ავტომატიზაციისა და ავეჯის დეკორატიული ელემენტების დამუშავების მექანიზაციისათვის.

გაერთიანების კოლექტივს მიზნად აქვს დასახული თანამედროვე ქართული ავეჯის მოდის კანონმდებელი გახდეს ჩვენს რესპუბლიკაში. აქაურმა მხატვრებმა და კონსტრუქტორებმა უკვე შექმნეს ბევრი სხვადასხვა ქართული ავეჯის ნიმუშები. ეს არის საძინებელი ოთახი — „ნინო“, „თამარი“, „ახალგაზრდული“, სექციური ავეჯი — „ბიბლიონი“, „სადარბაზო“, სასავშვო ავეჯი „ჭინჭრაქა“ და „ბავშვობა“, გრეხილი ავეჯის საადგილო კომპლექტი და სხვა.

ს. ქილაძე.

სურათებზე: მარცხნივ — ავეჯის საყოფაცხოვრებო სექციის უფროსი ნ. კენჭაძე და წამყვანი მხატვარ-კონსტრუქტორი ვ. პატრინი განიხილავენ ახალი ავეჯის პროექტებს, მარჯვნივ — საძინებელი ოთახი „თამარი“ და სასავშვო ავეჯის კომპლექტი „ჭინჭრაქა“.

ავტორის ფოტო.

ეს ამბავი ერთად იბრძოდნენ

ამოულოდნელი შეხვედრა

კურორტ ძაუს ავტობუსმა დამსვენებელთა ერთი ჯგუფი მაიყვანა სანატორიუმში. ჩამოსვლისას ერთი კაცი განცვიფრებული მიუახლოვდა თანამგზავრს და ჰკითხა:

— თქვენ გრიგოლ ნადირაძე ხომ არ ბრძანდებით?

— დიახ, თქვენ... გიორგი პიანკოვი?!

ვაჟკაცები ერთმანეთს გადაეხვევნენ.

— საიდან, როგორ?

— დასასვენებლად.

— მეც...

— როგორ მიცანი?

— თვალებით. 38 წელი გავიდა, მაგრამ ის ახალგაზრდული ნაპერწკალი მაინც შეგრჩენია.

და მოიგონეს ის ქარცეცხლიანი დღეები, ფრონტზე დამეგობრების დრო.

სერჟანტი გიორგი პიანკოვი და რიგითი გრიგოლ ნადირაძე იბრძოდნენ მე-12 გვარდიულ დივიზიაში. მათი 31-ე ბატარეა მოსკოვს იცავდა. სწორედ აქ დამეგობრდნენ ისინი, ჟიეიც დადეს, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ებრძოლათ სამშობლოსათვის. 1942 წლის 4 ივლისს გრიგოლი მძიმედ დაიჭრა. სამი თვე ჰოსპიტალში იწვა და ასე დაშორდა ფრონტელ მეგობარს. გამოჯანმრთელების შემდეგ გრიგოლი 662-ე მსროლელ პოლკში მოხვდა და მონაწილეობდა მოზდოკის, ორმავირის, კრასნოდარის განთავისუფლებაში. ანაპის განთავისუფლებისას კვლავ მძიმედ დაიჭრა, მაგრამ ბედმა გაუღიმა—სიკვდილს გადაუჩრა, ჭრილობა მოუშუშდა. და მას აქეთ მახარაძის რაიონის სოფელ შრომაში ცხოვრობს.

გ. თედეევი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

... ...

იხაროს ღვამბერიების კერამ!

ფიქრები ერთ რადიოგადაცემაზე — „რაზე გვიამბოგ, ბარათო“...

ოდითგანვე ასე ყოფილა: სოფელში სახლის აშენებას რომ დაპირებდა ვინმე, ყველზე ბედნიერ კაცად მიჩნეულ მეზობელს მიიწვევდა, საძირკველზე ფეხს დაადგმევინებდა, სიკეთე დაგვიბედებდაო. ცხაკაიას რაიონის სოფელ ხორშიც ასე იცოდნენ ძველთაგან. იყვნენ სოფლად სხვათა სიკეთის მხატვრენი, რომლებსაც ანდობდნენ მომავალი კერის დალოცვას.

მაგრამ მაშინ ათასში ერთი თუ გამბედავდა შებმოდა უძნელეს საქმეს — სახლის აშენებას, რადგან დუხჭირი ცხოვრება არ აძლევდა გასაქანს, ფეხბედნიერი კაცის ლოცვა კი, ცხადია, ბინას ვერ ააგებდა!

დღეს ბევრი ახალი ფუძე შენდება სოფლად, და მათ შორის სოფელ ხორშიც, ციხეთის უბანში, სადაც ერთი უბრალო მშრომელი ქალი ვერა ღვამბერია დ. მისი დიდი ოჯახი ცხოვრობს.

რომ იტყვიან, წისქვილის ქვა არ დაბრუნებულა ამ მშრომელი ქალის თავზე, თორემ წინათ რა გაჭირვება არ გადატანია. სოფელში კოლმეურნეობა რომ დაარსდა, პირველი დღიდანვე მისი წევრი გახდა. წალდით უკაფავს კოლხურ მიწაზე ეკალ-ბარდები, ჩაი ურგავს, უთოხნია და უკრეფია, შრომაში გაუტარებია სიცოცხლე, ოღონდ ერთადერთ ვაჟს ვენიას უმამობა არ ეგრძნო.

გაიზარდა ვაჟიშვილი, დაოჯახდა და ღვამბერიების პატარა ფუძე ერთიათად გაიზარდა — ექვსმა გოგონამ და ოთხმა ბიჭმა აიდგა ფეხი ღვამბერიების ძველ კარ-მიდამოში!

ძველმა ორთვალიანმა მამაპაპურმა მიწურმა ვეღარ დაიტია მრავალშვილიანი ოჯახი და ღვამბერიები ახალი კერის მშენებლობაზე ფიქრს შეუდგნენ, ჯიფი გაარკვევეს, სახელმწიფო რომ დახმარებას უწევდა, იმისგან განაზოგის ფონდი შექმნეს. შრომობდნენ გულმოდგინედ, ჩაის კრეფდნენ, ყანას თოხნიდნენ, აბრეშუმის პარკს ამზადებდნენ.. ახალ ოდა-სახლზე ოცნებაში თენდებოდა მოლით დაფარულ კეკლუც ეზოში ყოველი დილა.

ამ მზიან დღესაც ამ ფიქრში იყვნენ ალბათ, როცა კარმა გაიჭრიალა და მათს ეზოში ფეხბედნიერი ადამიანები — სოფლის თავკაცები და, რაიონის პარტიული ხელმძღვანელები შემოვიდნენ. აქა მშვიდობაო, თქვეს და სასიხარულო ამბავი ამოიტანეს: გაიხარეთ, ღვამბერიებო, მალე კაპიტალური ორსართულიანი სახლი გექნებათო... თქვეს და ცოტა ხნის შემდეგ მოხდა სასწაულიც — გაიჭრა სახლის საძირკველი!

ახლა თანდათან მაღლდება ღვამბერიების სახლის კედლები, ყველანი აქ არიან, სოფლის, კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელებიც... და შორს არ არის ის დრო, როცა ძველ კერაზე ახალი სახლი სამოყვაროდ გაალებს კარს, აგებულებება „კუჭრხი ბედნიერი“ და პირველი სადღეგრძელო მის ჭერქვეშ იმ ადამიანს ეკუთვნის, რომელმაც ეს საქმე ითავა, რომელმაც თვითონ მოიკლო და თავისი მოდგმისათ ნორჩ სიცოცხლეს — მაიას, ნანას, ზაზას, ზაალს, ეკას, მანუჩარს, ნონას, ნინოს, მამუკას, ასმათს მისცა, რომ ლამაზი კერა ჰქონოდათ.

პირველი სადღეგრძელო მისია, ვინც თავისი ნამრომის ნაწილი კოლხეთის მადლიან მიწაზე ბალავრად დაუდო ერთი მრავალშვილიანი ოჯახის სამოსახლოს. ეს ეთილშობილი ადამიანი მწერალი კიტა ბუაჩიძეა, რომელმაც საავტორო ჰონორარიდან დანაზოგი თანხა — სამი ათასი მანეთი საჩუქრად გადასცა ღვამბერიებს: მშვიდობაში, შენებაში, ლხინსა და ბედნიერებაში მოიხმარეთო.

ეს ამაღელვებელი ამბავი ამ დღეებში მოვიხმინეთ საქართველოს რადიოთი გადაცემაში „ხოფლის ფილა“. ვუსმენდით და სიამაყეს გვგვრიდა იმის შეგნება, რომ ჩვენს საზოგადოებაში, სოფელ-ქვეყანაში არასდროს დაილევიან ქველმოქმედი, კეთილშობილი ადამიანები, რომელთა წუთისოფელი მოყვასის ბედნიერებისათვის ფიქრში ილევა: ზუსტად ისე, როგორც პოეტი ამბობს: მწყურვალისათვის მიმატანინე წყალი, მევალისათვის მიმატანინე ვალი, გზაბნეულისათვის მასწავლებინე გზები, შეუწამლავი შემაწამლინე ზვრები... მათქმენი: ქვეყნად სიცოცხლე ღირდა, მერე წამოვალ, წამოვალ, საცა გინდა...

ვიდრე ამ რწმენით გვიცემს გული, ქვეყნად ბოროტებას მოკლე დღე უწერია, სიკეთე კი მარად იარსებებს, აზრი ექნება ჩვენს ყოფნას ამ წუთისოფელში!..

ისევ დაგვრჩენია, მადლობა ვუთხრათ საქართველოს სახტელერადიოს მუშაკებს, კერძოდ კი, რედაქტორ ლალი მორგოშიას, დიქტორებს ციალა შუბლაძესა და დავით სოკოლოვს, რომლებმაც ასე მომხიბლავად, ლაღი მუსიკით გაფორმებული მიაწოდეს მსმენელს ცხაკაიიდან გაზეთ „კოლხეთის“ რედაქტორის ჟურნალისტ ბორის შენგელაიას მიერ გამოგზავნილი ეს წერილი.

ახალი ხიდი თელავში

თელავის საკოლმეურნეო ბაზრიდან ახმეტის მიმართულებით მიმავალ გზას, „თელავის რიუეს“, ითეული წლების წინათ აგებული ვიწრო ხიდი კვეთდა, მაგრამ ისიც წყალდიდობისაგან და დრო-ამინისაგან დაზიანებული იყო. ფერხდებოდა ავტოტრანსპორტისა და ქვეითთა მოძრაობა, გზა იხერგებოდა და იქმნებოდა ავტოსაავარიო პირობები.

საავტომობილო გზების სამინისტროს № 9 ხიდების სარემონტო-სამშენებლო სამმართველომ ითავა ხიდის გაფართოება-რეკონსტრუქციის სამუშაოები. მთავარი ინჟინერის ი. გოტაძის, უფროსი სამუშაოთა მწარმოებლის ე. ხუციაძის, მშენებელი ოსტატის ე. მარგალიტაშვილის, მოწინავე მუშების გ. გობეჯიშვილის და შ. დოვლათოვის პატრიოტულმა გარჯამ ნაყოფი გამოიღო — თელავი ახალმა ხიდმა დაამშვენა.

ახლა „ბაზრის ხიდზე“, როგორც მას თელაველები უწოდებენ, ტრანსპორტი და ქვეითნი თავისუფლად დადიან.

დ. გერგიშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონები:
380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14.

რედაქცია:
რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, კორესპონდენტთა ქსელის და პრესის მიმოხილვის — 93-95-98, აღგილობრივი ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-21, მშრომელთა წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, საზოგადოებრივი მისაღების — 93-95-24.

საკორესპონდენტო პუნქტები:
მოსკოვი — 431-08-52; სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი — 2-22-52; ქუთაისი — 5-26-36; ბორი — 2-33-10; ახალციხე — 2-03-15; ზუგდიდი — 28-40; ცხაკაია — 2-23-44; მახარაძე — 6-34-44; ზესტაფონი — 39-55; თელავი — 12-09; წითელწყარო — 23-66; ტყიბული — 25-82.



КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 10174

1 2 3 4 5 6 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20